პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 19 მარტი, 1952 წ. № 67 (9227). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

მივაწოდოთ მშენებლობებს მეტი და მაღალხარისხოვანი საშენი მასალები — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სტალინური პრემიები თვალსაჩინო გამოგონებებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

სტალინური პრემიები თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში (მე-3 გვერდი).

საქართველოს მშრომელები გულისყურამას გამოსთქვამენ გაძტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ (მე-4 გვერდი).

მოვიდოგის მომხრეთა ამერიკის კონტინენტურ კონგრესზე (მე-4 გვერდი).

ირანის მთავრობაზე ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედების გამო (მე-4 გვერდი).

მივაწოდოთ მშენებლობებს მეტი და მაღალხარისხოვანი საშენი მასალები

სოციალისტური დაგროვების განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე ჩვენში წლითიწლობით იზრდება კაპიტალური მშენებლობის მასშტაბი. გასულ წელს წინა წელთან შედარებით საბელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა თორმეტი პროცენტით გაიზარდა და თითქმის ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას. ახალი ბიუჯეტით მრავალი ათეული მილიარდი მანეთია გათვალისწინებული ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებული კაპიტალური, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დასაფინანსებლად, კომუნიზმის დიად მშენებლობათა მიმდინარე წლის პროგრამის განსახორციელებლად.

კომუნიზმის დიადი მშენებლობები, სამრეწველო და საბინაო მშენებლობა სულ უფრო და უფრო მეტ და ჯაღალხარისხოვან საშენ მასალებს მოითხოვენ. ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებას, საშენი მასალების დამამზადებელ საწარმოთა მშენებლობას, არსებული საწარმოების გაფართოებას, ახალი ტექნიკით მათს აღჭურვას. ომისშემდგომ წლებში ჩვენს ქვეყანაში საშენი მასალების დამამზადებელი მრავალი ასეული საწარმო აშენდა და მძლავრი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვა. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა მიაღწიეს პროდუქციის გამოშვების თვალსაჩინო გადიდებას, ასორტიმენტის გაფართოებას, ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას.

წლითიწლობით იზრდება საშენ მასალათა წარმოება ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შარშან საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მაღალნაყოფიერად იმუშავეს კასპის ცემენტის ქარხნისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების სახელაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საშენ მასალათა საწარმოების კოლექტივებმა. რესპუბლიკის მშენებლობებმა წინა წელთან შედარებით გასულ წელს გაცილებით მეტი ცემენტი, აგური, კრამიტი, შიფერი, კირი და სხვა საშენი მასალები მიიღეს.

საშენი მასალების წარმოებაში შარშან მოპოვებული ერთგვარი წარმატების მიუხედავად, მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი საწარმოები ჩამორჩნენ და ვერ უზრუნველყვეს საგეგმო დავალებათა განაღდება. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ზუგდიდისა და ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნებმა საგეგმო დავალების შეუსრულებლობის გამო ათეულ ათასობით აგური დაკლეს მშენებლობებს. მეტეხის მშრალი წნეხვიხ აგურის ქარხანაში ვერ შეძლეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ათვისება. აძის შედეგად ქარხანამ შარშან საგეგმო დავალება მხოლოდ 52 პროცენტით შეასრულა. გურჯაანის აგურის ქარხანაში დაარღვიეს წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა პროდუქციის ხარისხზე. ზოგიერთ საწარმოში იყო თვალისახვევის ფაქტებიც გეგმის შესრულების მაჩვენებლების ხელოვნურად გაზრდის მიზნით. რესპუბლიკის აგურის ქარხნებში სათანადო გამოხმაურება და მხარდაჭერა ვერ ჰპოვა აგურის ჩქარისნული შრობისა და გამოწვის ამხ. დუვანოვის, მაზოვისა და სხვათა ნოვატორულმა მეთოდებმა.

რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობაში შარშან სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა ჯეროვან სიმაღლეზე არ იყო დაყენებული. როგორც ცნობილია, შარშან საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის კოლექტივის მიმართვას მეტი აგურის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ აგურის ყველა ქარხანაში გამოეხმაურნენ და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, მაგრამ ამ ვალდებულებათა შესრულება მხოლოდ რამდენიმე საწარმომ შეძლო.

წელს საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა წინაშე ფრიად პასუხსაგები ამოცანებია დასახული. მარტო საქართველოს სსრ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში გაერთიანებულმა აგურის ქარხნებმა 95 მილიონი ცალი აგური უნდა მიაწოდონ მშენებლობებს, რაც თითქმის სამოცი პროცენტით აღემატება შარშანდელ საგეგმო დავალებას. მარტო საბურთალოს აგურის ქარხანამ შარშანდელთან შედარებით 11 მილიონი ცალით მეტი აგური უნდა გამოუშვას, ხოლო მეტეხის ქარხნის საგეგმო დავალება ერთიორად არის გადიდებული. სამი მილიონი ცალით უნდა გაადიდოს აგურის გამოშვება სამტრედიის ქარხანამ. შარშანდელთან შედარებით ოცი-ოცდახუთი პროცენტით დიდდება საშენი და მოსაპირკეთებელი ქვის, ტუფისა და სხვა მასალების წარმოება.

ამ გადიდებულ საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში, კერძოდ საბურთალოს, მეტეხისა და სამტრედიის აგურის ქარხნებში მთელი რიგი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხორციელდება. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გადაუდებელი ამოცანაა უახლოეს დროში უზრუნველყოს ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოთა დამთავრება, რომ ყველა საწარმომ შეძლოს საგეგმო დავალების აუცილებლად შესრულება ყოველ თვე, ყოველ კვარტალში. გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად როგორც სამინისტრომ, ისე საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და ოსტატებმა გადამჭრელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

საჭიროა საშენი მასალის თვითეული საწარმოს კოლექტივს შეუქმნათ მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობა. კერძოდ აგურის ქარხნებში ფართოდ უნდა დაინერგოს აგურის შრობისა და გამოწვის ამხ. დუვანოვის ნოვატორული მეთოდი, რაც უზრუნველყოფს ღუმელის წარმადობის საგრძნობ გადიდებას, გამოწვის პროცესების დაჩქარებას. ყოველმხრივ უნდა გავაფართოოთ აგურის ქარხნების საშრობი მეურნეობა, მივაღწიოთ ნედლი აგურის ნაკლებობის გამო ღუმელების მოცდენის ლიკვიდაციას, სამეურნეო წლის ყველა კვარტალში მაღალნაყოფიერი მუშაობის უზრუნველყოფას.

კასპის ცემენტის ქარხნის მუშათა კოლექტივი აქტიურად უნდა გამოეხმაუროს ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანა „ოკტიაბრის“ კოლექტივის თაოსნობას მოწყობილობის თვითეული ერთეულიდან პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მიღების, ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. საჭიროა საშენ მასალათა თვითეულ საწარმოში ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება, დავეხმაროთ შეჯიბრებაში ჩაბმულთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ საწარმოთა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საწარმოთა კოლექტივების საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ წელს საგეგმო დავალებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ასორტიმენტის ზუსტად დაცვით ასრულებდეს საშენ მასალათა მრეწველობის თვითეული საწარმო.

საშენი მასალების გამოშვების საგეგმო დავალების შესრულება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების მაქსიმალური შემცირება დიდნიშვნელოვანი საქმეა. შეუფერხებლად მოვამარაგოთ მშენებლები მეტი და მაღალხარისხოვანი საშენი მასალებით.

„საბავშვო წიგნის კვირეული“

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დაადგინა მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში — 1952 წლის 25 მარტიდან 2 აპრილამდე — მოეწყოს „საბავშვო წიგნის კვირეული“.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ფართოდ ჩაბან „საბავშვო წიგნის კვირეულის“ მოწყობაში პროფკავშირული აქტივი, მასწავლებლები და მშობლები. რეკომენდებულია მოეწყოს ლიტერატურული თეატური დილები და საღამოები, ლექციები, მოხსენებები, საუბრები, ხმამაღალა წაკითხვა, წიგნის გამოფენები, გაიმართოს კონფერენციები, გაიმართოს კონკურსები საუკეთესო წამკითხველსა და მოსაუბრეზე, მოსწავლეთა შეხვედრა მწერლებთან და მეცნიერებთან — წიგნების ავტორებთან და სხვ.

პროფკავშირთა საბჭოებს რჩევა მიეცათ „საბავშვო წიგნის კვირეულის“ პერიოდში მოაწყონ ბავშვებისათვის საერთო საქალაქო ლიტერატურული დილები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სტალინური პრემიები თვალსაჩინო გამოგონებებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის

მეორე ხარისხის პრემიები
100.000 მანეთის რაოდენობით

5. **ენგელს** ფრიდრიხ თევდორეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, სამმართველოს მთავარ ინჟინერს, **ფილიმონოვს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, მთავარი ინჟინრის მოადგილეს, **შარის** პავლე ანდრიას-ძეს, ინჟინერს, **პიანკოვას** ევგენია ვასილის ასულს, განყოფილების უფროსს, **მენდელეევს** დიმიტრი მენდელეევ-ძეს, რაიონის მთავარ ინჟინერს, **კოლეგაევს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, სამმართველოს განყოფილების უფროსს, **გრომაკოვს** დიმიტრი გრიგოლის-ძეს, სამუშაოთა უფროს მწარმოებელს, **კონოვალოვს** ნიკოლოზ პეტრეს-ძეს, სამშენებლო რაიონის მთავარ მექანიკოსს, **კუკიშევს** ალექსანდრე პავლეს-ძეს, რაბის ნაგებობის უფროსს, **სევასტიანოვს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, რაიონის მთავარ ინჟინერს, **კურდენკოვს** ლევ ივანეს-ძეს, საფუძვლებისა და საძირკვლების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, — წყალდაწევის ახალი ხერხის ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში დანერგვისათვის.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ალტუნინს** სტეფანე ტიტეს-ძეს, პროფესორს, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, — წყალშემკრებ ნაგებობათა გამართვის ახალი პრინციპების შემუშავებისა და მშენებლობაში დანერგვისათვის.

2. **ზამკოვს** ნიკოლოზ სტეფანეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების ბიუროს ინსტრუქტორს, **ვავილოვს** პავლე პეტრეს-ძეს, **კირსანოვს** ივანე ივანეს-ძეს, ამავე ბიუროს ინსტრუქტორებს, **ნოსენკოს** ნიკოლოზ ევლამპის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **კურეკს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, **სოვალოვს** ონნა გიორგის-ძეს, მშენებლობის ორგანიზაციისა და მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, **დოლუენკოს** გიორგი თევდორეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, — რკინაბეტონის არმატურის დამზადების ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

3. **ივანოვს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს, **ასტანსკის** ლევ იურის-ძეს, პოდგორნოეს ცემენტის ქარხნის დირექტორს, მუშაობის ხელმძღვანელებს, **შკუტინს** პანტელეიმონ ვასილის-ძეს, **დუპლიაკინს** მიხეილ მათეს-ძეს, ავტომატური შახტური ღუმელების მემანქანეებს, **ნიშრევს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, მთავარ ინჟინერს, ამავე ქარხნის მუშაკებს, **ზავგოროდნის** ნიკოლოზ საველის-ძეს, ბელგოროდის ცემენტის ქარხნის მთავარ ინჟინერს, **გავრილოვს** მიხეილ კონსტანტინეს-ძეს, **ვებერს** ფრანც ანტონის-ძეს, ცემენტის ქარხანა „პობედა ოკტიაბრიას“ დირექტორს, **ჩერნოვოლს** ივანე ანდრიას-ძეს, ამავე ქარხნის ოსტატს, — ავტომატური შახტური ღუმელების წარმადობის გადიდებისათვის.

4. **ივანჩენკოს** იოსებ ანტონის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, გზათა სამინისტროს ხიდების მშენებლობის ტრესტის უფროსს, **ალექსეენკოს** დიმიტრი ვასილის-ძეს, ქარხნის მთავარ ინჟინერს, **სიდოროვს** ევგენი ალექსის-ძეს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს, **ზაბროდინს** ბორის ალექსის-ძეს, მთავარ ინჟინერს, **სკრიაბინს** სერაფიმ აპოლონის-ძეს, **შახნოვიჩს** ვლადიმერ ვასილის-ძეს, ამავე ბიუროს ინჟინერებს, **არტემენკოს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, რაზმის უფროსს, **ვლასოვს** მიხეილ ნიკოლოზის-ძეს, **მოლოკანოვს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, რაზმების მთავარ ინჟინერებს, **ჩურლიაევს** ვლადიმერ ვასილის-ძეს, რაზმის სამუშაოთა მწარმოებელს, **ხლებნიკოვს** ევგენი ლეონიდეს-ძეს, რკინიგზის მშენებლობისა და დაპროექტების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, — ხიდების მშენებლობის ხერხების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

5. **კოროვკინს** ალექსი პავლეს-ძეს, **ტროიცკის** ევგენი ალექსანდრეს-ძეს, რკინიგზის მშენებლობისა და დაპროექტების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **ბოგდანოვს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, გზათა სამინისტროს ხიდების მშენებლობის მთავარი სამმართველოს ცენტრალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს პროექტების მთავარ ინჟინერს, **ავტორთა კოლექტივს**, — წინასწარძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების შემუშავებისა და ხიდების მშენებლობაში დანერგვისათვის.

6. **ლუპიჩევს** ნიკოლოზ პავლეს-ძეს, სანაოსნო „ვოლგოტანკერის“ კუიბიშევის უბნის უფროსს, **კოზლოვს** ვიქტორ სტეფანეს-ძეს, კუიბიშევის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დოცენტს, მუშაობის ხელმძღვანელებს, **ბალახონოვს** იაკობ ივანეს-ძეს, სანაოსნო „ვოლგოტანკერის“ სამმართველოს მექანიკოსს, **პეტროვს** ალექსანდრე ვასილის-ძეს, ტექნიკოსს, **ვლასოვს** ანატოლი პავლეს-ძეს, სახელოსნოების ელექტროშემდუღებელს, **ზაიცევს** ვიქტორ გრიგოლის-ძეს, მექანიკოსს, ამავე სანაოსნო მუშაკებს, **ზუბკოვს** პეტრე მაქსიმეს-ძეს, სამდინარო ფლოტის სამინისტროს ცენტრალური სამმართველოს განყოფილების უფროსს, **კოზლოვს** თევდორე სტეფანეს-ძეს, რაზმის მეთაურის მოადგილეს, **მურატოვს** სერგი მიხეილის-ძეს, **პერვუხინს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, კუიბიშევის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ასისტენტებს, **როსტენკოს** დიმიტრი ვასილის-ძეს, **სერგეევას** ლიდია სერგის ასულს, ამავე ინსტიტუტის ლაბორანტებს,—ნავთსასხმელ გემებზე ცეცხლსარემონტო სამუშაოების შესრულების ახალი უსაშიშრო ხერხის შემუშავებისათვის.

7. **ლურიეს** იული სერგის-ძეს, ცემენტის მრეწველობის საწარმოთა დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორს, მუშაობის ხელმძღვანელს, **გლადკოვს** ვასილ თევდორეს-ძეს, განყოფილების უფროსს, **მუხინს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, საცდელი ქარხნის უფროსს, **ვოლკენსკის** ბორის ვასილის-ძეს, განყოფილების უფროსს, ამავე ინსტიტუტის მუშაკებს, **არეფიევს** ვასილ ალექსის-ძეს, ლენინგრადის ვოროვსკის სახელობის ცემენტის ქარხნის მთავარ ინჟინერს, **გარკუშას** ილია ვასილის-ძეს, ცემენტის ქარხანა, „პროლეტარის“ მემანქანეს, **ივლიევს** ეგორ ივანეს-ძეს, ცემენტის ქარხანა, „კოშუნარის“ მემანქანეს, **მამოლინს** დიმიტრი ანდრიას-ძეს, ცემენტის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“ მემანქანეს, **კოროტოვს** ივანე პეტრეს-ძეს, ხილკოვოს ცემენტის ქარხნის მემანქანეს, **ხაზოვს** ივანე ანდრიას-ძეს, ცემენტის ქარხანა „ბოლშევიკის“ მემანქანეს, **ნიკოლაევს** თევდორე თევდორეს-ძეს, ცემენტის ქარხანა „ოქტიაბრის“ მემანქანეს, **მოროზს** ივანე კონსტანტინეს-ძეს, ნოვოროსიისკის ცემენტის ტრესტის მმართველს, **სანკოს** ლეონიდე იაკობის-ძეს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინერს,—ცემენტის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელების კორპუსების დამუშავებისა და წყლით გაცივების მრეწველობაში დანერგვისათვის.

8. **მინაევს** კუზმა ალექსის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, — გაანგარიშების მეთოდების შემუშავებისათვის.

9. **მინცს** დანიელ მაქსიმეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **შუბერტს** სერგი ალექსანდრეს-ძეს, კ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის მეცნიერ თანამშრომლებს, **მარკიზოვს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, რუბლიოოვის წყალსადენი სადგურის მთავარ ინჟინერს, **ტრაპეზნიკოვს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, გორკის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის საქალაქო სამმართველოს უფროსს, **პოდლიპსკის** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, უფის წყალსადენისა და კანალიზაციის ტრესტის მთავარ ინჟინერს, **ნოვიცკის** ნიკოლოზ სიმონის-ძეს, სტალინოს წყალსადენი სადგურის საამქროს უფროსს, — წყლისსაწმენდი ფილტრის ახალი კონსტრუქციის შემუშავებისა და დანერგვისათვის.

10. **პოპოვს** ივანე ვასილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის გეოლოგიური ძიების ინსტიტუტის პროფესორს, **ნიკოლაევს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, **კულიჩიხინს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის პროფესორებს, **პრიკლონსკის** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, **სოკოლოვს** დიმიტრი სერგის-ძეს, ამავე ინსტიტუტის დოცენტებს, **ზოლოტარევს** გიორგი სერგის-ძეს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს, **ბელის** ლეონიდე დიმიტრის-ძეს, ბიუროს უფროსს, **ტიზდელს** რომან რომანის-ძეს, განყოფილების მთავარ ინჟინერს, „ჰიდროინერგოპროექტის“ თანამშრომლებს,—ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიურ გამოკვლევათა მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნისათვის.

11. **სარჭისიანცს** გიორგი აირაპეტის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, **ბესსონოვს** კონსტანტინე ტერენტის-ძეს, უფროს ინჟინერ-მექანიკოსს, **გორკოვს** ალექსანდრე ვასილის-ძეს, მთავარ ინჟინერს, **დუმანეცკის** ივანე ივანეს-ძეს, რაიონის უფროსს, **იუსოვს** სერგი კონსტანტინეს-ძეს, **ჟბანოვს** ვასილ ფილიპეს-ძეს, რაიონების მთავარ მექანიკოსებს, **სუხოცკის** სტანისლავ ფელიქსის-ძეს, სამმართველოს უფროსს, **კომარევსკის** ვიქტორ ტიხონის-ძეს, განყოფილების უფროსის მოადგილეს, **მარტინოვს**, ანატოლი პეტრეს-ძეს, სამშენებლო უბნის უფროსს, **გორბატოვს** ნიკოლოზ ალექსის-ძეს, საპროექტო კანტორის მთავარ ტექნოლოგს, **ავერინს** ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს, მშენებლობის ორგანიზაციისა და მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს,—ქვაღორღის დიდი სიმძლავრის მექანიზებული ქარხნების შექმნისათვის.

12. **სიმინს** გრიგოლ ფადეის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, რუსეთის სფსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **პოლიაკოვას** ტატიანა ივანეს-ასულს, **ტუროვსკის** იოსებ გრიგოლის-ძეს, **ნიკოლსკის** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომლებს, **ლაპშინს** პეტრე ალექსანდრეს-ძეს, საშენ მასალათა მრეწველობის მოსკოვის საოლქო სამმართველოს მთავარ ინჟინერს, **სადომოვს** ანატოლი ივანეს-ძეს, ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსს, **მატვეენკოს** მოდესტ სტეფანეს-ძეს, ნიკოლსკის წითელი აგურის ქარხნის უბნის უფროსს, **სავოსტინს** დიმიტრი იაკობის-ძეს, ნიუნე-კოტელსკის აგურის ქარხნის საამქროს უფროსს, **სუსლინს** ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს, მთავარ მექანიკოსს, **გერასიმოვს** ილია პეტრეს-ძეს, გამომწვავს, ამავე ქარხნის მუშაკებს, **ნაზარენკოს** ვლადიმერ მიხეილის-ძეს, საშენ მასალათა მრეწველობის ირკუტსკის საოლქო სამმართველოს უფროსს, **სავიცკის** ფლავიანე მათეს-ძეს, ლისიხინსის აგურის ქარხნის მთავარ ინჟინერს, **ზოხინს** გრიგოლ იოსების-ძეს, საშენ მასალათა მრეწველობის კრასნოიარსკის სამხარეო სამმართველოს უფროსს, **ვირუპაევას** აგრაფინა იოსების ასულს, კრასნოიარსკის აგურის ქარხნის საამქროს ოსტატს, **რაკოვს** ალექსანდრე დანიელის-ძეს, ამავე ქარხნის საამქროს უფროსს, **იაკოვლევს** ივანე რომანის-ძეს, საშენ მასალათა მრეწველობის სმოლენსკის საოლქო სამმართველოს მთავარ ინჟინერს,—კამერულ და გვირაბულ საშრობებში აგურის ჩქარისსნული შრობის მეთოდის შემუშავებისა და დანერგვისათვის.

13. **სმირნოვს** ლეონიდე ივანეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილეს, **ვახს** სერგი ალექსანდრეს-ძეს, მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს განყოფილების უფროსს, **გენინს** მორდხაი იაკობ-იოსელის-ძეს, სანიტარულ-ტექნიკური მონტაჟის ტრესტის საპროექტო-საკონსტრუქტორო კანტორის უფროსს, **შესტოპალოვს** ვასილ ივანეს-ძეს, ამავე კანტორის საექსპერიმენტო სახელოსნოს უფროსს, **ხოტკევიჩს** სერგი გრიგოლის-ძეს, სანიტარულ-ტექნიკური მონტაჟის ტრესტის მთავარ ინჟინერს, **დემჩუკს** ლეონიდე პავლეს-ძეს, ქარხნის მთავარ ინჟინერს, **განტმანს** სამსონ პავლეს-ძეს, ინჟინერს, — სანიტარულ-ტექნიკურ სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

14. **სტრჟალკოვსკის** ევგენი გენრიხის-ძეს, **შილკროტს** მენდელ აბოს-ძეს, **სოროკინს** მაკარ ანდრიას-ძეს, **კაპიტანსკის** გრიგოლ ლევის-ძეს, **ივჩენკოს** ლეონიდე გიორგის-ძეს, **დოვგერს** ივანე თევდორეს-ძეს, ინჟინერებს, ავტორთა კოლექტივს, — მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის მეთოდებისა და ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

15. **ცარევსკის** ალექსი მიხეილის-ძეს, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, **პუგავკოს** ბორის იულიანის-ძეს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **კრატინსკის** ვლადიმერ ივანეს-ძეს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილეს, **ბელეს**, **მიხაილოვს** გიორგი მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს უკრაინის წყალმშენის სამანქანო-სამშენებლო კანტორის უფროსს, **შჩეტკინს** პეტრე გიორგის-ძეს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს ტრესტის მთავარ მექანიკოსს, **უნენბაევს** მირკამალ აიმურზას-ძეს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს ნიუნე-ამუ-დარიის სამანქანო-საექსკავატორო სადგურის დირექტორს, **ცხადაიას** გრიგოლ ანდრიას-ძეს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს მიწისმწოვი მანქანების მშენებელი ქარხნის მთავარ ინჟინერს, ავტორთა კოლექტივს, — სარწყავი სისტემების გაწმენდის სამუშაოთა წარმოების მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

16. **შესტაკოვს** ნიკოლოზ თევდორეს-ძეს, **შესტერნინს** მიხეილ თევდორეს-ძეს, **იარიგინს** ნიკიფორე მიხეილის-ძეს, ექსკავატორების ბრიგადირმემანქანეებს, ავტორთა კოლექტივს,—საექსკავატორო სამუშაოებზე შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის.

თ. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 150.000 მანეთის რაოდენობით

1. **ბაკულოვს** ივანე ივანეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ბელიაკოვს** ალექსი პავლეს-ძეს, **ერმოლოვს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, **ჟდანოვს** ვალერი სერგის-ძეს, **კომაროვს** სერგი თევდორეს-ძეს, **მალიევსკის** ალექსანდრე პეტრეს-ძეს, **ნეკრასოვს** ლეონიდე ვლადიმერის-ძეს, **პეროვს** გიორგი არტამონის-ძეს, **სოლოვიოვს** ლევ ნიკოლოზის-ძეს, **ჩერნიხს** თევდორე ნიკანორის-ძეს, — ინჟინრებს, — ახალი ნიმუშების რადიოაპარატურის შექმნისათვის.

2. **დულიცკის** ვიქტორ სიმონის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **დენისოვს** გიორგი ვასილის-ძეს, **ევგრაფოვს** ლეონიდე ვასილის-ძეს, **კოვალევს** ოლეგ პეტრეს-ძეს, **ნოვიკოვს** ემანუილ ლევის-ძეს, **რუსანოვს** ივანე ალექსანდრეს-ძეს, **სიჩაევს** სერგი დიმიტრის-ძეს, **ტვერდოხლებოვს** ვადიმ იურის-ძეს, **ჩირინს** პეტრე ალექსანდრეს-ძეს, **ელტერმანს** იური ვლადიმერის-ძეს, — ინჟინრებს,—კავშირგაბმულობის დარგში მუშაობისათვის.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **ანტონოვს** ოლეგ კონსტანტინეს-ძეს, სამხრეთ ურალის რკინიგზის ჩელიაბინსკის დეპოს მემანქანეს, **ასეევს** სიმონ დიმიტრის-ძეს, **იაგოდინს** დიმიტრი ნიკოლოზის-ძეს, აღმოსავლეთ ციმბირის რკინიგზის ულან-უდეს დეპოს მემანქანეებს, **გოლენკოვს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, ომსკის რკინიგზის ბარაბინსკის დეპოს მემანქანეს, **მილეიკოს** ნიკიფორე სიმონის-ძეს, ყარაგანდის რკინიგზის კუტორტ-ბოროვოეს დეპოს მემანქანეს, **პეტროვს** ვალენტინ გრიგოლის-ძეს, ტომსკის რკინიგზის ნოვოსიბირსკის დეპოს მემანქანეს, ავტორთა კოლექტივს, — საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის, რამაც უზრუნველყო ორთქლმავლების რემონტშორისი დიდი გარბენები.

2. **ანდრეევს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს, **კარპოვს** დიმიტრი ტიმოთეს-ძეს, ამავე ბიუროს კონსტრუქტორს, **აფანასიევს** ივანე ალექსანდრეს-ძეს, კოსტრომის

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

დასასრული. დასაწყისი. იხ. „კომუნისტის“ №№ 63, 64, 65, 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური პრემიის დაუფლეტები

ა. ე. ჩხარტიშვილი
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ი. გ. სუმბათაშვილი
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე



გ. ვ. შავგულიძე
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

ა. ლ. კვანტალიანი
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

ა. ა. ოსიაძე
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

ო. ნ. აივაზაშვილი
აზერბაიჯანის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

სტალინური პრემიები თვალსაჩინო გამოგონებებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის

(გაგრძელება)

გემთა მექანიკური ქარხნის საამქროს უფროსს, **პეტროვს** იაკობ პეტრეს-ძეს, სამდინარო სატყეო ტრანსპორტისა და ჰიდროტექნიკის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის გამგეს, **პუზანოვს** ნიკოლოზ თევდორეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **არტემიევს** ევგენი ივანეს-ძეს, **ეგოროვს** ბორის გრიგოლის-ძეს, **ზდოროვს** პავლე ალექსანდრეს-ძეს, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნის კონსტრუქტორებს, ავტორთა კოლექტივს, — გაზგენერატორული საბუქსირო კატერის შექმნისა და სერიულ წარმოებაში დანერგვისათვის.

3. **ბოგოროდიცკის** ნიკოლოზ პეტრეს-ძეს, პროფესორს, **კურჟელევსკის** ბორის სტანისლავის-ძეს, ქარხნის დირექტორს, **რაბინოვიჩს** აბრამ ეფიმის-ძეს, ქარხნის მთავარ ინჟინერს, **სკანავის** გიორგი ივანეს-ძეს, პროფესორს, **ფრიდბერგს** ილარი დმიტრის-ძეს, **ორფინსკაიას** ოლგა კონსტანტინეს ასულს, ლაბორატორიების უფროსებს, ავტორთა კოლექტივს, — რადიოაპარატურის დეტალების შემუშავებისა და მასობრივი წარმოების მოწყობისათვის.

4. **ბოროძიუკს** გიორგი გიორგის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, **ბაბენკოს** ივანე ანისიმის-ძეს, საცდელი ქარხნის მთავარ ინჟინერს, **ბელეცკის** ალექსანდრე თევდორეს-ძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **დრიაცკის** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, **სტეპაკოვს** იოსებ სიმხას-ძეს, უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს, **სტეპანოვს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს, ლაბორატორიის უფროსს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **ნიკოლაევს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს, ქარხნის ინჟინერს, **ხალეზოვს** ბორის ვასილის-ძეს, კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსის მოადგილეს, **ბლოხინს** ალექსანდრე სტეფანეს-ძეს, ლაბორატორიის უფროსს, **ბასიკს** ილია ვასილის-ძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ველიკინს** იაკობ იოსების-ძეს, ლაბორატორიის უფროსს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **აჯემოვს** სერგი არტემის-ძეს, კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური სამმართველოს მთავარ ინჟინერს, — მაღალი სიხშირის ტელეფონირების მრავალარხიანი სისტემის შემუშავებისათვის.

5. **ბრილევს** არკადი მიხეილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, **ფონარევს** ნაუმ მიხეილის-ძეს, **შიშლიაკოვს** ალექსანდრე ვლადიმერის-ძეს, **პენკინს** ნიკოლოზ თევდორეს-ძეს, **არშავსკის** სოლომონ ლევის-ძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **ტანციურას** ალექსი ანდრონიკის-ძეს, ლაბორატორიის ხელმძღვანელს, **მოჟაევს** სერგი სტეფანეს-ძეს, უფროს ლაბორანტს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **მაშკოვს** კონსტანტინე დმიტრის-ძეს, კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, **ეგოროვს** ვლადიმერ პავლეს-ძეს, სამხრეთ ურალის რკინიგზის სამმართველოს სამსახურის უფროსს, — განუწყვეტელი ავტოსტოპის მქონე ლოკომოტივის ავტომატური სიგნალიზაციის შემუშავებისა და დანერგვისათვის.

6. **ბუხვალოვს** ევგენი ვასილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ლოჟკარევს** ვლადიმერ სიმონის-ძეს, **ოვსიანიკოვს** ვასილ ივანეს-ძეს, **შჩერბაკოვსკის** ილია აროონის-ძეს, ინჟინერებს, **ბელოვს** ვალენტინ თევდორეს-ძეს, ზეინკალ-მექანიკოსს, **ელიზაროვს** მიხეილ ათანასეს-ძეს, საამქროს უფროსს, — ახალი რადიოსადგურის დამუშავებისათვის.

7. **ვალეევს** ხადი საბირის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **პონომარენკოს** ვასილ დიმიტრის-ძეს, **პოპოვას** ბარბარე ტიმოთეს ასულს, **ტურსკის** გიორგი რიჩარდის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, **ტერენტიევას** ტატიანა იგორის ასულს, ქარხნის ინჟინერს, — ახალი ტიპის კონდენსატორების შემუშავებისა და წარმოებაში ათვისებისათვის.

8. **ველიკოვსკის** ვლადიმერ ლევის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ვარტანესიანს** ვარტგეს აგაროონის-ძეს, **გრინბერგს** იდა ოვსეის ასულს, **ეფიმოვს** კონსტანტინე ალექსის-ძეს, **კოროლევს** მიხეილ ივანის-ძეს, **ლებედევს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, **ნესტერენკოს** ალექსანდრე ემელიანეს-ძეს, **ხიტრევსკის** მიხეილ ლავრენტის-ძეს, ინჟინრებს, — რადიოაპარატურის შემუშავებისათვის.

9. **გრიგორიევს** მიხეილ ვასილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ვოლკოვს** ბენიამინ ალექსანდრეს-ძეს, **ლობაშევს** ნიკოლოზ ეგნატეს-ძეს, **შუსტინას** ალექსანდრა ლევის ასულს, **შუტაკს** დიმიტრი ლეონიდეს-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, — ახალი მასალის შემუშავებისა და სამრეწველო წარმოების ათვისებისათვის.

10. **ზლატკინს** ეფიმ ლევის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ბისტროვს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს, **გოლოვანოვს** სერგი მიხეილის-ძეს, **ლოშაკოვს** როსტისლავ პეტრეს-ძეს, **რენეს** პავლე ტიხონის-ძეს, **სოკოლოვს** ვლადიმერ ვასილის-ძეს, **შიშაგინს** ალექსი ალექსანდრეს-ძეს, ინჟინრებს, **ხლიბოვს** ალექსი ვასილის-ძეს, უფროს ოსტატს, — რადიოსადგურის დამუშავებისათვის.

11. **ლიუბჩენკოს** ივანე ულიანის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ზამეშაევს** ივანე ალექსის-ძეს, **კეილინს** რუბენ შნეერის-ძეს, **მასლენიკოვს** ვიქტორ მიხეილის-ძეს, **ტოლსტოპიატოვს** დიმიტრი მიხეილის-ძეს, **ფაინშტეინს** ნოე დავითის-ძეს, ინჟინრებს, **შეველკოს** იური ანდრიას-ძეს, მექანიკოსს, — რადიოაპარატურის შემუშავებისათვის.

12. **ნაუმოვს** ანდრია ვლადიმერის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ოსტროვსკის** იოსებ ბენიამინის-ძეს, **რახმანოვს** ვლადიმერ თევდორეს-ძეს, **შეინმანს** გრიგოლ იაკობის-ძეს, **შკრაბაკს** ილია დიმიტრის-ძეს, **ლებედევს** ბორის ნიკოლოზის-ძეს, **კაზისტოვს** ივანე ვასილის-ძეს, **სემიონოვს** სერგი დიმიტრის-ძეს, — რადიოაპარატურის შემუშავებისა და სერიული წარმოების მოწყობისათვის.

13. **ნეფედოვს** ივანე ივანეს-ძეს, სამხრეთის რკინიგზის ხარკოვის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატს, **უდალოვს** ათანასე სტეფანეს-ძეს, ომსკის რკინიგზის გოლიშმანოვის სალიანდაგო დისტანციის უფროს გზის ოსტატს, **მალცევას** ეკატერინე ივანეს ასულს, სამხრეთ ურალის რკინიგზის შადრინსკის სალიანდაგო დისტანციის ხიდის ოსტატს, **კოლესნიკოვს** პავლე ივანეს-ძეს, დნეპროპეტროვსკის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს, — ლიანდაგის მიმდინარე მოვლის მოწინავე მეთოდების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

14. **სიდოროვს** კონსტანტინე ვასილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ლაკერნიკს** რაფაილ მოსეს-ძეს, **კოზარევას** მარიამ ნიკოლოზის ასულს, **რიბაკს** სერგი კირილეს-ძეს, ქარხნის ინჟინრებს, **გროდნევს** იგორ იზმაილის-ძეს, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკს, **სონინს** ვალენტინ პავლეს-ძეს, **კლიმოვს** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს, ინჟინრებს, **კულეშოვს** ვასილ ნიკოლოზის-ძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — კაბელის ტექნიკის დარგში მუშაობისათვის.

15. **შჩებლიკინს** ანდრია ტიმოთეს-ძეს, ჩრდილო დონეცის რკინიგზის სადგურ კრასნი ლიმანის ვაგონების უფროს გამსინჯველს, **ჩაუსს** იაკობ პავლეს-ძეს, ვაგონის ოსტატს, **ლიაშკოს** ივან სვირიდის-ძეს, ზეინკალს, **შპაკს** ვიქტორ კირილეს-ძეს, ვაგონების გამსინჯველს, **ილჩენკოს** ანტონინა მაკარის ასულს, გამზეთავს, **კოტლიაროვს** ალიქსანდრე აკიმის-ძეს, უფროს ინჟინერს, **რუდჩენკოს** დიმიტრი აკიმის-ძეს, დეპოს მთავარ ინჟინერს, ამავე სადგურის სავაგონო დეპოს მუშაკებს, ავტორთა კოლექტივს, — ვაგონების ტექნიკური გასინჯვის და მიმდინარე რემონტის ახალი მეთოდის დანერგვისათვის.

II. სოფლის მეურნეობის დარგში
მეოთხე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **კოსტინას** კლავდია თევდორეს ასულს, **რიაბოვს** ივანე ნიკოლოზის-ძეს, **რიხტერს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს, ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ნიკიტსკის ბოტანიკური ბაღის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **არენდტს** ნინო კონსტანტინეს ასულს, ამავე ბაღის მეცნიერ თანამშრომელს, **კოვერაგს** ანატოლი საფრონის-ძეს, ამავე ბაღის დირექტორს, ავტორთა კოლექტივს, — გარგარის, ქლიავის, ალუჩის, ლეღვისა და ზეთისხილის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის.

2. **კუზმინს** ვალენტინ პეტრეს-ძეს, აკმოლინსკის ოლქის კ. ბ. ბაბაევის სახელობის შორტანდის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის განყოფილების გამგეს, — მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანისათვის.

3. **მალიუგინს** ევგენი ალექსანდრეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **კოლიკოვს** მიხეილ სიმონის-ძეს, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, **მილოვზოროვს** ანატოლი ივანეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის პრიარალსკის საცდელი სადგურის ლაბორატორიის გამგეს, **მალიუგინს** პეტრე ალექსანდრეს-ძეს, ამავე სადგურის დირექტორს, — დასავლეთ ყაზახეთის ქვიშიან ნახევრადუდაბნოებში მემცენარეობის ათვისების მეთოდების შემუშავებისათვის.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **აივაზაშვილს** ოსანა ნიკოლოზის ასულს, საქართველოს სსრ ახმეტის რაიონის ქრისტაურის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, **სულთანოვას** ალიაბონს, უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის ბუვაიდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, — აბრეშუმის ჭიის გამოკვების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

2. **ბლიზნიჩენკოს** ვლადიმერ ალექსის-ძეს, დაღისტნის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხის სახელმწიფო ჯიშიან ცხოველთა სანაშენოს დირექტორს, **ბუსურინს** იაკობ ალექსის-ძეს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს მთავარ ზოოტექნიკოსს, **გაჯიევს** აბიდინ იბრაჰიმის-ძეს, დაღისტნის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, **ჰუსეინოვს** საიდ იბრაჰიმის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღისტნის ფილიალის მეცხოველეობის ინსტიტუტის დირექტორს, **ისლამოვს** ისლამს, გუნიბის რაიონის სოფელ ჩოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, **პაკალოვს** ომარს, ამავე კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, — ნახევრადნაზმატყლიანი „დაღისტნის მთის“ ცხვრის ახალი ჯიშის გამოყვანისათვის.

3. **ბრეუნევს** დიმიტრი დანილის-ძეს, **ლიზგუნოვას** ტატიანა ვასილის ასულს, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **კრასოჩკინს** ვასილ ტროფიმეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის ჰუშკინის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელს, **გუსევს** პავლე პეტრეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის პოლარული სადგურის მეცნიერ თანამშრომელს, ავტორთა კოლექტივს, — ბოსტნეული კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანისა და მათი მეთესლეობის ჩრდილოეთ ზონაში გავრცელებისათვის.

4. **გერმაშევს** სიმონ ზაქარიას-ძეს, სტეპნოის რაიონის ვოლოდარსკის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, **გრინკოს** გრიგოლ პავლეს-ძეს, სტავროპოლის მხარის ლევოკუმსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი კამიშანიკის“ უფროს მწყემსს, **კრივომაზს** აკიმ მაქსიმეს-ძეს, ალტაის მხარის რუბცოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „სტრანა სოვეტოვის“ უფროს მწყემსს, **უმანსკის** ნიკოლოზ თევდორეს-ძეს, კრასნოდარის მხარის კამიშევასტსკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, **მიხაილოვს** ივანე ივანეს-ძეს, გროზნოს ოლქის ყიზლარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, **პოპოვს** ვასილ ივანეს-ძეს, სტავროპოლის მხარის არზგირის რაიონის 9 ივნვრის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, **ბორიდკოს** პავლე ნიკოლოზის-ძეს, სტავროპოლის მხარის ლევოკუმსკოეს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, — ნახევრადნაზმატყლიან მეცხვარეობაში მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებისათვის.

5. **დუკას** სტეფანე ხარიტონის-ძეს, უკრაინის მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, **როდიონოვს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს,— უკრაინის სსრ-ში ხილისა და კენკრის კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანისათვის.

6. **ეგოროვს** მიხეილ გრიგოლის-ძეს, იაკუტიის ასსრ მეგინო-კანგალასის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ მებოსტნე აგროტექნიკოსს, — იაკუტიის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მებოსტნეობის აგროტექნიკის მოწინავე ხერხების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

7. **ჟუჩკოვს** ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს, ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს, — ლენინგრადის მიდამოებში ბალიგის შექმნის მეთოდების შემუშავებისათვის.

8. **კალაიტანოვს რომან ივანეს-ძეს, ჩალიკოვს** ალექსანდრე ეგნატეს-ძეს, **კრავჩენკოს** გრიგოლ მიხეილის-ძეს, სტავროპოლის მხარის ლეოკუმსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ბუდიონოვეცის“ უფროს მწყემსებს, **კორეცკის** ალექსი ლეონტის-ძეს, არზგირის რაიონის კოლმეურნეობა „კულტურნიკის“ უფროს მწყემსს, **ერესკოს** იაკობ ილარიონის-ძეს, იპატოვოს რაიონის კოლმეურნეობა „მე-2 ხუთწლედის“ მეცხვარეობის ფერმის გამგეს, **კალაშნიკოვს** სერგი ეგორის-ძეს, პეტროვსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „პობედას“ უფროს მწყემსს, **გორბატენკოს** ნიკოლოზ მათეს-ძეს, პეტროვსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს, **ყადანს** ვასილ ივანეს-ძეს, ლეოკუმსკოეს ნაზმატყლიანი ცხვრის სახელმწიფო საჯიშე სანაშენოს უბნის ზოოტექნიკოსს, **დობრიკოვს** ივანე ტერენტის-ძეს, იპატოვოს რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ ზოოტექნიკოსს, **პილიპენკოს** ტიხონ ივანეს-ძეს, ლეოკუმსკოეს რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს, **ოკულევიჩს** გრიგოლ ალექსანდრეს-ძეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, **ლოპირინს** ანატოლი იგანეს-ძეს, მეცხვარეობისა და მეთხეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **გრაუდინს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის ცხვრის მოშენების განყოფილების გამგეს, **შჩუჩკინს** პავლე არკადის-ძეს, სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ტურკსადის“ უფროს ზოოტექნიკოსს, — სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში ნაზმატყლიანი ცხვრის „საბჭოთა მერინოსის“ ჯიშის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

9. **კოვტუნენკოს** ივანე პორფირეს-ძეს, ყაბარდოს ბაღ—საორანჟერიო მებაღეობის ტექნიკურ ხელმძღვანელს,— დეკორაციული მცენარეების ახალი ჯიშების გამოყვანისა და მათი ყინვაგამძლეობისა და გვალვაგამძლეობის ამაღლებისათვის.

10. **კოლესნიკოვს** ლეონიდე ალექსის-ძეს, სავაჭრო ტრანსპორტის საკავშირო ტრესტის პირველი ავტობაზის კოლონის უფროსს, — მრავალი ახალი ჯიშის იასამნის გამოყვანისათვის.

11. **კრასნიუკს** ავქსენტი ალექსის-ძეს, სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწათმოქმედების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — საშემოდგომო ჭვავის ახალი ჯიშის—„ვოლეანის“ გამოყვანისათვის.

12. **ლუკაშენკოს** თევდორე დანილას-ძეს, უზბეკეთის ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, **პოლკოვნიკოვას** რაისა სტეფანეს ასულს, ყირგიზეთის ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი საცდელი სადგურის ლაბორატორიის გამგეს, **ივანოვს** სერაფიმ პეტრეს-ძეს, **სმირნოვს** ივანე ივანეს-ძეს, ამავე სადგურის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **არხიპოვს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს უფროსს, — თხის ფილტვების ინფექციური ანთების წინააღმდეგ ვაქცინის დამზადების მეთოდის შემუშავებისათვის.

13. **მაზლუმოვს** ავედიკტ ლუკიანის-ძეს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამონის საცდელ სასელექციო სადგურის განყოფილების გამგეს, **სავჩენკოს** ნიკიტა ანიკას-ძეს, ამავე სადგურის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — შაქრის ჭარხლის ახალი ჯიშის გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

14. **მოროზოვს** ვასილ კონსტანტინეს-ძეს, სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — მზესუმზირას ჯიშის „სარატოვის 10“ გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

15. **მუსამუხამედოვს** რიზამათს, უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს აგრონომს, — ვაზის გამოყვანისა და სხვლის და ვენახის რეკონსტრუქციის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

16. **პანსკინს** კონსტანტინე გიორგის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, ტამბოვის ოლქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა „არქენკის“ დირექტორს, **ტოლსტუნოვას** მარიამ ნიკიტას ასულს, უფროს ზოოტექნიკოსს, **ეიტენევას** მარიამ ვასილის ასულს, **პოტაპოვას** ევდოკია გრიგოლის ასულს, საამქროთა უფროსებს, **ბატიშჩევას** ელისაბედ თომას ასულს, უფროს ოპერატორს, **ვოლკოვას** ევდოკია სტეფანეს ასულს, ამავე საბჭოთა მეურნეობის მეფრინველეს, — საჯიშე მეფრინველეობის დარგში საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

17. **სიმონს** მოდესტ ოსტაპის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, ციმბირის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, **ტერნიკოს** პავლე ივანეს-ძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ოვსიანიკოვს** ალექსანდრე ივანეს-ძეს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **კუშნარენკოს** ბარბარე თევდორეს ასულს, ამავე ინსტიტუტის საცდელი მეურნეობის მეღორეს, **ლისაკოვს** ანდრია თევდორეს-ძეს, ამავე მეურნეობის დირექტორს, **სიროტენკოს** ოლგა ივანეს ასულს, ნარიმის საყრდენი პუნქტის გამგეს, **სკორიკს** ივანე ტროფიმეს-ძეს, ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს, **კარტაშოვას** ოლგა ტარასის ასულს, ოიაშის საჯიშე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეს, **პრესნიაკოვას** ანტონინა სტეფანეს ასულს, ნოვოსიბირსკის ოლქის ოიაშის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების მთავარ ზოოტექნიკოსს, **სავინას** ეკატერინე ტიმოთეს ასულს, ნოვოსიბირსკის ვეტერინარიის საცდელი სადგურის ზოოტექნიკოსს, — ციმბირის ჩრდილოეთის ჯიშის ღორის გამოყვანისა და გავრცელებისათვის.

18. **ჩეპუროვს** კონსტანტინე პავლეს-ძეს, შორეული აღმოსავლეთის ზონალური ვეტერინარული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — სოფლის მეურნეობის ცხოველთა დიპლოკოკით დაავადებათა წინააღმდეგ ვაქცინისა და შრატის ახალი ბიოლოგიური პრეპარატების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის.

III. მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში
მეოთხე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **კალინოვსკის** ვლადიმერ სევასტიანის-ძეს, ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის წყნარი ოკეანის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **დოლგოვს** ვადიმ ბორისის-ძეს, **გავრილენკოს** კონსტანტინე თევდორეს-ძეს, — ბადით თევზჭერის ინსტრუქტორს, ავტორთა კოლექტივს, — ახალი კონსტრუქციის გრიგალგამძლე დასაღებელი ბადეების დამუშავებისა და მრეწველობაში მათი დანერგვისათვის.

2. **ლედერმანს** ილია ბენიამინის-ძეს, **ჩერჩინცევს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელებს, **ბელოცერკოვსკის** მათე იოსეფას-ძეს, **ემელიანოვს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, **პანჩენკოს** ალექსი ათანასეს-ძეს, **ფედოროვს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს, ინჟინრებს, **კოლმიეცს** იური ტიმოთეს-ძეს, ქარხნის დირექტორს, **ოსინს** ანატოლი ალექსანდრეს-ძეს, ქარხნის მთავარ ტექნოლოგს, — ტექნოლოგიური პროცესის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ავმოჩკინს** ალექსანდრე ვასილის-ძეს, ივანოვოს ბამბეულის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **შვირევს** სერგი სერგის-ძეს, ბამბეულის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ავტომატიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მუშაობის ხელმძღვანელებს, **ბატკოვს** ალექსანდრე ივანეს-ძეს, ბოლშაია ივანოვსკაია მანუფაქტურის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს, **ივნატოვს** ანატოლი სიმონის-ძეს, ქარხანა „ტექსტილპრიბორის“ წარმოების უფროსს, **მატვეევს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს, მთავარ ინჟინერს, **პატრიკეევს** ალექსი ნიკოლოზის-ძეს, კონსტრუქტორს, **რადოვიცკის** ვლადიმერ პეტრეს-ძეს, მთავარ კონსტრუქტორს, ამავე ქარხნის მუშაკებს, **მიტიუშკინს** ნიკოლოზ გენადის-ძეს, ქარხანა „ტექსტილმაშპრიბორის“ მთავარ ინჟინერს, **პუზირევს** იოსებ ვასილის-ძეს, ივანოვოს ბამბეულის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს ინჟინერ-კონსტრუქტორს, — საფეიქრო მრეწველობის პროცესების ავტომატიზაციისათვის.

2. **ბახარევს** ივანე იაკობის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ანდრეევს** ნინო ილიას ასულს, მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, **კლეევს** ილია ანდრიას-ძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **დროგალინს** კუზმა ვასილის-ძეს, კაბინეტის გამგეს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **დენისოვს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, მთავარ მექანიკოსს, **პავლოვს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, ჯგუფის ხელმძღვანელს, სახელმწიფო ინსტიტუტის „პრომზერნოპროექტის“ თანამშრომლებს, **მნიშენკოს** ალექსანდრე კუზმის-ძეს, კორსუნ-შევჩენკოვსკის პურის საინსპექციო პუნქტის პურის სახელმწიფო უფროს ინსპექტორს, **პიმენოვს** ათანასე სპირიდონის-ძეს, დაამზადებათა სამინისტროს რწმუნებულს ლენინგრადის ოლქში, **დუბინინს** პეტრე მოსეს-ძეს, „სორტსემოვოშჩის“ როსტოვის საოლქო კანტორის მთავარ აგრონომს,—მარცვლის ხარისხის გამოკვლევისა და შენარჩუნების მეთოდის დანერგვისათვის.

3. **ბორისოვს** პავლე გაბრიელის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მოსკოვის ა. ი. მიქოიანის სახელობის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს, **პრიხოდკოს** ბორის იგნატის-ძეს, **ბაბუშკინს** ნიკოლოზ იაკობის-ძეს, ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კასპიის ფილიალის ლაბორატორიების გამგეებს, **სუბტინს** ალექსანდრე თევდორეს-ძეს, ასტრახანის ოლქის მარფის მოტორ-თევზჭერის სადგურის სეინერის კაპიტანს, **ალექსანდროვს** მიხეილ პავლეს-ძეს, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს ასტრახანის საოლქო სამმართველოს ფლოტის განყოფილების მთავარ მექანიკოსს, — წყალქვეშა ელექტროგაშუქების საშუალებით სარეწაო ძიებისა და თევზჭერის ახალი ხერხის შემუშავებისა და მრეწველობაში დანერგვისათვის.

4. **ბურნეცკის** ალფონს ალექსანდრეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მთავარ ინჟინერს, **კარკლინშს** რომან იანის-ძეს, ქიმიური საამქროს ტექნოლოგს, **პაეგლას** არია კარლის ასულს, სასაფუვრე საამქროს ტექნოლოგს, **სივიცკის** ალექსი ესტატეს-ძეს, დირექტორს, რიგის ლიმონის მეავას საცდელი ქარხნის თანამშრომლებს, **ვოიოვდს** ივანის პეტრეს-ძეს, ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს, — საკვები ლიმონის მეავას წარმოების ახალი სახის ნედლეულის ათვისებისა და მრეწველობაში დანერგვისათვის.

5. **გალკინას** ლიუბოვ ანატოლის ასულს, პოლიგრაფიული მრეწველობის და ტექნიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, **ლაპუხტინს** ბენიამინ სიმონის-ძეს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ ხელმძღვანელს,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სტალინური პრემიები თვალსაჩინო გამოგონებებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის

(დასასრული)

ნოვს ვლადიმერ მიხეილის-ძეს, პოლიგრაფიული საღებავების მე-2 ქარხნის დირექტორს, ლაზარევს ალექსი ივანეს-ძეს, პოლიგრაფიული საღებავების 1-ლი ქარხნის მთავარ ინჟინერს, პოპოვს ილია ვასილის-ძეს, როსტოვის ილიჩის სახელობის ქრომოლითოგრაფიის საამქროს უფროსს, ავტორთა კოლექტივს, — გრაგნილი ბრინჯაოსა და ფერადი კილიტის წარმოების მეთოდის შემუშავებისა და მრეწველობაში დანერგვისათვის.

6. **კოზლოვს** მიხეილ ვასილის-ძეს, **დულას** იოსებ იანის-ძეს, რუსეთის სფსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო კანტორის წამყვან კონსტრუქტორებს, — ახალი მოწყობილობის გამოგონებისა და დანერგვისათვის, რომელიც ახლენს მსუბუქი მრეწველობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

7. **ლევჩენკოს** მარიამ ივანეს ასულს, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ გამომჭრელს, **მუხანოვს** გრიგოლ ვასილის-ძეს, ბრიგადირს, **ზავადსკაიას** პრასკოვია პეტრეს ასულს, საამქროს ბუხჰალტერს, ამავე ფაბრიკის მუშაკებს, **ფედოსეევას** ანა გრიგოლის ასულს, კრასნოზნამენსკის ფაბრიკის ფეიერს, ავტორთა კოლექტივს, — თვითეულ ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს.

8. **სმირნოვს** ნიკოლოზ ტროფიმეს-ძეს, სამკერვალო ფაბრიკა „ბოლშევიჩკას“ მექანიკოსს, **ჩვანოვს** ვიქტორ ივანეს-ძეს, სამკერვალო ფაბრიკა „კრასნაია ობორონას“ მექანიკოსს, **ფომიჩევს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო ფაბრიკა „კრასნაია შვეიას“ უფროს მექანიკოსს, ავტორთა კოლექტივს, — მცირე მექანიზაციის მოწყობილობათა შემუშავებისა და სამკერვალო მრეწველობაში დანერგვისათვის.

9. **უტკინს** ვიქტორ ვასილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ბესტუჟევს** კუპრიან ილიას-ძეს, **ბოროგს** ვალერი აფრიკანის-ძეს, **კირსანოვს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, **სმირნოვს** ბორის ვასილის-ძეს, ინჟინრებს, **გოზულოვს** სერგი ავდეის-ძეს, **ისაკოვს** პეტრე კუზმას-ძეს, **დოლგოვს** პეტრე ივანეს-ძეს, **კოჩეკოვს** ვასილ სტეფანეს-ძეს, — ახალი მოწყობილობის შექმნისათვის.

10. **ჩერეშნევს** ლეონიდე ტროფიმეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, აბრეშუმის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელს, **გლებოვს** დიმიტრი ვასილის-ძეს, საამქროს უფროსს, **სმირნოვს** ივანე ლეონიდეს-ძეს, ინჟინერ-კონსტრუქტორს, **ხაილოს** ვლადიმერ სტეფანეს-ძეს, ინჟინერ-კონსტრუქტორს, **იაკოვლევს** სერგი პეტრეს-ძეს, ზეინკალს, ამავე ინსტიტუტის მუშაკებს, **პარშინს** ალექსი ნიკოლოზის-ძეს, კომბინატ „კრასნაია როზას“ სახელოსნოს უფროსს,—მცირეგაბარიტიანი და სწრაფმავალი აბრეშუმსაქსოი დაზგების დამუშავებისა და დანერგვისათვის.

ლ. მედიცინის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 150.000 მანეთის რაოდენობით

1. **ხერგიევს** პეტრე გრიგოლის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ბეკლემიშევს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს, **ბუსლაევს** მიხეილ ალექსის-ძეს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსს, **ჯაფარიძეს** პეტრე სპირიდონის-ძეს, აფხაზეთის მალარიის საწინააღმდეგო სადგურის დირექტორს, **ისაევს** ლეონიდე მიხეილის-ძეს, პროფესორს, უზბეკეთის მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, **ნაბოკოვს** ვალერიან ალექსანდრეს-ძეს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალარიის, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ჰელმინტოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **რაზინას** მარიამ გრიგოლის ასულს, სექტორის გამგეს, **შიპიცინას** ნინო კონსტანტინეს ასულს, **იაკუშევას** ანა ივანეს ასულს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **პოკროვსკის** სერგი ნიკანდრის-ძეს, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, **პრავოკოვს** გლებ ალექსის-ძეს, თურმენეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, — ღონისძიებათა კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვისათვის, რამაც უზრუნველყო სსრ კავშირში მალარიით დაავადების მკვეთრი შემცირება და მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში მალარიის, როგორც მასობრივი დაავადების ლიკვიდაცია.

2. **ტიმაკოვს** ვლადიმერ დიმიტრის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, **ლებედევს** ნიკოლოზ ევგენის-ძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, მუშაობის ხელმძღვანელს, **მოროზოვს** მიხეილ აკიმის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, **ბეილინსონს** ანასტასია ვასილის ასულს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, **დოლინოვს** კონსტანტინე ევგენის-ძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს, **ლეშჩინსკაიას** ელენე ნიკოლოზის ასულს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, — სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **ბაღდასაროვს** ანდრია არკადის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორს, **ვასილიევს** პეტრე სერგის-ძეს, პროფესორს, **როზენბერგს** გრიგოლ იაკობის-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, **ვინოგრად-ფინკელს** ფრიდა რობერტის ასულს, პროფესორს, **ვლადოსს** ხარლამპი ხარლამპის-ძეს, პროფესორს, **გროზდოვს** დიმიტრი მიტროფანეს-ძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, **კუკელს** ანა სერგის ასულს, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, **ფილატოვს** ანტონინ ნიკოლოზის-ძეს, პროფესორს, **ბოგომოლოვას** ლუბა გრიგოლის ასულს, ლენინგრადის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, — სისხლის დაკონსერვებისა და სისხლის სამკურნალო პრეპარატების მიღების ახალი მეთოდების შემუშავებისათვის.

2. **პეტროვს** ბორის ალექსანდრეს-ძეს, პროფესორს, მოსკოვის სკლიფოსოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების საქალაქო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარ ქირურგს, — დიდი დეფექტების დროს კანის თავისუფალი გადანერგვის მეთოდის შემუშავებისათვის.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ბოჩარნიკოვს** ოლიმპ ნიკოლოზის-ძეს, **კარპუზიდის** კონსტანტინე საველის-ძეს, **კლიმჩენკოს** ივანე ზაქარიას-ძეს, **კონოვას** ანტონინა მიხეილის ასულს, **სტუპნიცკის** პეტრე ნიკიტას-ძეს, **ტინკერს** იოსებ სამსონის-ძეს, **შიშკინს** ალექსანდრე კონდრატეს-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, **იოფს** ილია გრიგოლის-ძეს, პროფესორს, **კალაბუხოვს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, პროფესორს, ავტორთა კოლექტივს, — ჯანმრთელობის დაცვის დარგში მუშაობისათვის.

2. **კლიმოვს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს, უკრაინის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კლინიკის გამგეს, — მოტეხილობისა და ყალბი სახსრების დროს გრძელი ლულოვანი ძვლების შეერთების ახალი ხერხის შემუშავებისათვის.

3. **პანკოვს** ვიქტორ ალექსის-ძეს, სამედიცინო სამსახურის მაიორს, აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის მთავარი სამხედრო ჰოსპიტლის ორდინატორს, — სატრანსპორტო-სამკურნალო სალტის დამუშავებისა და ჩონჩხის გაჭიმვის აპარატის კონსტრუქციის შექმნისათვის, რაც იხმარება ბარძაყის მოტეხილობის დროს.

4. **პიდოპლიჩკოს** ნიკოლოზ მაკარის-ძეს, **ბილაის** ვერა იოსების ასულს, უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **გულის** მაქსიმე ფედორეს-ძეს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, **სორენის** ემერიხ თეოდორის-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ავტორთა კოლექტივს, — ახალი სამკურნალო პრეპარატის შექმნისა და სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვისათვის.

5. **შესტერენკოს** ალექსი ფილიპეს-ძეს, ინჟინერს, — სამედიცინო მიზნების ახალი აპარატურის დამუშავებისათვის.

სტალინური პრემიები თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

მესამე ხარისხის პრემიები 25.000 მანეთის რაოდენობით

7. სპექტაკლისათვის „აბაი“ აზერბაიჯანის დრამის აკადემიურ თეატრში: **აიმანოვს** შაკენ კენჭეტის-ძეს, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ არტისტს; **ბადიროვს** კაპან ურალის-ძეს, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს; **კუანიშბაევს** ყალიბეკს, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს; **კოჟამკულოვს** სერალის, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს; **კოიჩუბაევას** რახი რისპას ასულს, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს; **უმურზაკოვს** ელეუბას, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს; **ბუკეევას** ხადიშეს, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ არტისტს; **ბოლგობოვიჩს** ვასილ ვასილის-ძეს, მხატვარს.

8. სპექტაკლისათვის „დაუვიწყარი 1919 წელი“ ესტონეთის თეატრ „ვანემუინეში“: **მიალტონს** ალექსანდრე პარლდის-ძეს, ესტონეთის სსრ დამსახურებულ არტისტს; **ლაარს** ალექსანდრე აუგუსტის-ძეს, ესტონეთის სსრ დამსახურებულ არტისტს; **პოლიაკოვს** ანდრია კონსტანტინეს-ძეს, რეჟისორს; **ასუკს** არნოლდ ხუგოს-ძეს, მსახიობს; **ტამულს** ელო კარლის ასულს, ესტონეთის სსრ დამსახურებულ მსახიობს; **დაუტერს** ანტს მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს.

9. სპექტაკლისათვის „ლებიაჟეში“ ტამბოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის საოლქო დრამატულ თეატრში: **გალიცის** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს, რეჟისორს; **მარინს** ივანე ნიკიტას-ძეს, ეროსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს; **ბუნინს** ალექსი თევდორეს-ძეს, მსახიობს; **კალინინჩენკოს** ვასილ ივანეს-ძეს, მსახიობს; **კოვარსკაიას** მარიამ ივანეს ასულს, მსახიობს.

10. სპექტაკლისათვის „ალიოშა პეშკოვი“ სარატოვის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში: **კისელიოვს** იური პეტრეს-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს, რეჟისორს; **არხანგელსკის** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, მხატვარს; **ფომინას** სერაფიმა ალექსის ასულს, მსახიობს; **ჩერნოვას** ზინაიდა ალექსანდრეს ასულს, მსახიობს; **ნაჩინკინს** ვასილ ნიკიფორეს-ძეს, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ არტისტს; **შეგოლევს** ალექსანდრე ივანეს-ძეს, მსახიობს; **ტკაჩოვს** პავლე დიმიტრის-ძეს, მსახიობს; **ბისტრიაკოვს** ალექსი სტეფანეს-ძეს, მსახიობს; **ერმოლაევს** ვასილ პეტრეს-ძეს, მსახიობს.

11. სპექტაკლისათვის „პრაღა კვლავ ჩემია“ საბჭოთა არმიის ოდესის დრამატულ თეატრში: **არკადიევს** არკადი ივანეს-ძეს, უკრაინის სსრ სახალხო არტისტს; **გოლუბინსკის** დიმიტრი მიხეილის-ძეს, უკრაინის სსრ სახალხო არტისტს; **მაქსიმოვს** ალექსი მათეს-ძეს, უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს; **პიკაოორსკაიას** ლიდია ვასილის ასულს, თურქმენეთის სსრ დამსახურებულ არტისტს; **გავრილჩენკოს** იულია ფილიპეს ასულს, მოლდავეთის სსრ დამსახურებულ არტისტს; **ბერკუნს** ილია მოსეს-ძეს, რეჟისორს.

12. **გაიდებუროვს** პავლე პავლეს-ძეს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს — ყირიმის მ. გორკის სახელობის საოლქო დრამატულ თეატრში სპექტაკლ „მოხუცის“ დადგმისა და მოხუცის როლის შესრულებისათვის.

ნ. საოპერო ხელოვნების დარგში

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. სპექტაკლისათვის „თავისუფლების მომღერალი“ ესტონეთის სსრ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში: **რაუდსეპს** კირილე დიმიტრის-ძეს, ესტონეთის სსრ დამსახურებულ არტისტს, დირიჟორს; **ვინერს** ალექსანდრე ბორისის-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს, რეჟისორს; **კუზიკს** დიტრიხ იანის-ძეს, ესტონეთის სსრ დამსახურებულ არტისტს; **მაიზიკს** ელზა პავლეს ასულს, ესტონეთის სსრ დამსახურებულ არტისტს; **პიარნს** აუგუსტ იოჰანესის-ძეს, მსახიობს; **ტარგამას** ტიია აუგუსტის ასულს, ხორეოგრაფს.

2. სპექტაკლისათვის „ტარასის ოჯახი“ მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში: **სამოსუდს** სამეფილ აბრამის-ძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, დირიჟორს; **ბარატოვს** ლეონიდე ვასილის-ძეს, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორს; **კემარსკაიას** ნადეჟდა თევდორეს ასულს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს, რეჟისორს; **ვოლკოვს** ბორის ივანეს-ძეს, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს; **კანდელაკს** ვლადიმერ არკადის-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს; **იანკოს** თამარ თევდორეს ასულს, მსახიობს; **იუნიცკის** იური პავლეს-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს; **იუდინას** ტატიანა სერგის ასულს, მსახიობს; **ცენინს** სერგი ალექსანდრეს-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს.

მესამე ხარისხის პრემია 25.000 მანეთის რაოდენობით

სპექტაკლისათვის „ბორის გოდუნოვი“ ხარკოვის ლისენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში: **ბრონზოვს** ივანე ლავრენტის-ძეს, უკრაინის სსრ სახალხო არტისტს; **კოზინეცს** დიმიტრი ივანეს-ძეს, უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს; **ბუტკოვს** ბორის გრიგოლის-ძეს, მსახიობს; **პუტნეგს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, მსახიობს; **სკოროზოგატკოს** პავლე ალექსანდრეს-ძეს, მსახიობს.

ო. საბალეტო ხელოვნების დარგში

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

სპექტაკლისათვის „გიულშენი“ აზერბაიჯანის ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში: **ჰაჯიბეკოვს** სულთან ისმაილ-ოღლის, კომპოზიტორს; **ალმას-ზადეს** ჰამერ ჰაჯი აღა ყზის, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს, ბალეტმეისტერს; **ნიაზის**, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, დირიჟორს; **ბატაშოვს** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს, მსახიობს; **კუზნეცოვს** იური ნიკოლოზის-ძეს, მსახიობს.

საქართველოს მშრომელები გულისწყრომას გამოსთქვამენ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ

დავიცვათ კორეელი ბავშვები

ხუთასამდე თანამშრომელმა მოიყარა თავი რესპუბლიკის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აუდიტორიაში. მეცნიერი თანამშრომლები, პროფესორები, დოცენტები, ექიმები, ექიმის თანაშემწეები, დამხმარე მუშაკები მოვიდნენ აქ, რათა თავიანთი პროტესტის ხმა აღიმაღლონ ოკეანესგაღმელი ბარბაროსების წინააღმდეგ, რომლებმაც უმაგალითო სისასტიკე ჩაიდინეს — კორეისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე თვითმფრინავებით გადმოყარეს შავი ჭირის, ტიფის და სხვა ბაქტერიებით დასნებოვნებული მწერები.

მიტინგი გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა შ. ქორიძემ.

ტრიბუნაზეა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი შალვა მიქელაძე. — კორეელი ხალხის გმირობა, — ამბობს იგი, — ვერ გატეხეს ამერიკელ-ინგლისელმა აგრესორებმა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ვერ ჩაახშობენ თავისუფლებისმოყვარე ხალხის მისწრაფებას — შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. მამაცი კორეელი ხალხი გმირულად უმკლავდება მათს შემოტევას. ამიტომ ოკეანესგაღმელმა ნეოფაშისტებმა მიმართეს ომების ისტორიაში გაუგონარ ხერხს — ხელი მიჰყვეს მშვიდობიანი მოსახლეობის გადაგდურებას ინფექციური სნეულებით დასნებოვნებული მწერების გავრცელების საშუალებით. ჩვენთვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის, ყველაზე უფრო გასაგებია ის საშინელება, რომელიც კორეელ და ჩინელ დედებსა და ბავშვებს მოელით. მოგიწოდებთ ჩვენი ხმა ერთსულოვნად შევუერთოთ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ხმას, რათა სასწრაფოდ შეწყდეს ბაქტერიოლოგიური ომი კორეასა და ჩრდილოეთ ჩინეთში.

— იმ დროს, როდესაც მსოფლიოს მოწინავე მეცნიერება, — თქვა ექიმმა რენტგენოლოგმა ი. დოღონაძემ, — გულმოდგინედ მუშაობს ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების გამოვლინებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე, ოკეანესგაღმელი „მეცნიერები“ გამალებით მუშაობენ, რათა დაიჭარონ მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება. მაგრამ მათს განზრახვას ასრულება არ უწერია. მშვიდობისმოყვარე ადამიანები მთელ მსოფლიოში საკადრის პასუხს გასცემენ მეოცე საუკუნის ბარბაროსებს.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჩახავამ, ექიმმა გინეკოლოგმა ც. ჭანტურიამ, ბიოქიმიკოსმა თ. ქუთათელაძემ და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც სასტიკად დაგმეს ამერიკელი ინტერვენტების მიერ კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, მტკიცედ მოითხოვეს კორეასა და აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის შეწყვეტა და პირობა დადეს, რომ უფრო ენერგიულად იმუშავებენ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად.

სტალინის სახელობის საჯარო სამეცნიერო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას ამერიკულ იმპერიალისტთა მიერ კორეისა და ჩინეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ. 18 მარტს გაიმართა მიტინგი ამერიკელ აგრესორთა ამ ახალი საზიზღარი დანაშაულის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტის ნიშნად.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა ნ. კეცხოველმა. მან აღნიშნა, რომ ამერიკელმა ინტერვენტებმა თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურეს.

— მხოლოდ კაციჭამიებს შეუძლიათ, — განაცხადა ამხ. კეცხოველმა, — ასეთი ნაბიჯის გადადგმა, უდანაშაულო დედების, ბავშვების, მოხუცების, დავრდომილების მოსპობა. პროგრესული კაცობრიობა ხმას იმაღლებს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

სიტყვას იღებს აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი. იგი ამბობს:

— მთელ მსოფლიოს მოედო აღშფოთების საყოველთაო-სახალხო ტალღა ამერიკელ აგრესორთა მიერ კორეაში და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების გამო. მშვიდობისმოყვარე ხალხები ვერ შეურიგდებიან ამ სამარცხვინო ფაქტს, პასუხს მოსთხოვენ დამნაშავეებს. რა ხრიკებსაც უნდა მიმართონ იმპერიალისტმა მტაცებლებმა, მსოფლიო ბატონობის მათი გეგმები ჩაიშლება, რადგან მშვიდობის ბანაკი ომის ბანაკზე უფრო ძლიერია, რადგან მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

სიტყვა ეძლევა უნივერსიტეტის ასპირანტს ა. ავალიანს. — ამერიკელ იმპერიალისტთა თავხედობამ, — ამბობს ის, — უმაღლეს წერტილს მიაღწია. მათ არ იკმარეს კორეის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების, საავადმყოფოების, სკოლების, ბავშვთა ბაღების განადგურება, ყოველივე ამას დაუმატეს უსაზიზღრესი ბოროტება, გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი. ამით ამერიკის იმპერიალიზმმა ყველას აშკარად დაანახა თავისი სისხლიანი სახე. მსოფლიოს პატიოსანი ადამიანებისათვის დოსაბადი ნათელია, რომ ტრუმენები, აჩესონები და მათი დამქაშები კაცობრიობის უბოროტესი მტრები არიან. ამერიკელ მტაცებლებს გადაწყვეტილი აქვთ ბაქტერიოლოგიური ომით ფიზიკურად მოსპონ მთელი კორეელი ხალხი და გამოიყენონ კორეის ტერიტორია ახალი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. მაგრამ სიმართლე კორეელი ხალხის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მხარეზეა. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

შემდეგ სიტყვა მიეცა პროფესორ თინათინ წერეთელს, რომელმაც განაცხადა:

— მაშინ, როცა საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნიზმის გიგანტებს, ამერიკელ იმპერიალისტთა „სიკვდილის ფაბრიკებში“ მზადდება ბაქტერიები ხალხის მასობრივი ხოცვა-ჟლეტისათვის. ყოველი მხრიდან მოისმის ამერიკელ ბარბაროსთა საშინელი დანაშაულის წინააღმდეგ პროტესტის მძლავრი ხმა, რომელსაც თავიანთ ხმას უერთებენ საბჭოთა მეცნიერები. აღვკვეთოთ იმპერიალისტთა საშინელი ბოროტმოქმედება, პასუხი მოვთხოვოთ ბაქტერიოლოგიური ომის გამჩაღებლებს!

სტუდენტმა ც. კარბელაშვილმა თავის სიტყვაში გამოხატა უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის აზრი და გრძნობა. მან განაცხადა:

— ჩვენს ქვეყანაში სტალინურ პრემიას ანიჭებენ პროფესორს, რომელმაც შექმნა მალარიის საწინააღმდეგო ახალი საშუალება. ამავე დროს კი ამერიკელი ყაჩაღები კორეისა და ჩინეთის მიწაზე ჰყრიან ბომბებს, რომლებიც შეიცავენ ხოლერისა თუ შავი ჭირის გამავრცელებელ ბაქტერიებს. ინტერვენტებმა ზარბაზნებით, თვითმფრინავებით და ტანკებით ვერ გატეხეს კორეელი ხალხის ნებისყოფა და ახალი აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაიდინეს. ეს მოწმობს მათს შიშს, პანიკას, გარდუვალი დაღუპვის წინ. დაე მტერი ერთხელ კიდევ დარწმუნდეს, რომ ვერავითარი საშუალებით ვერ დააშინებს ხალხს, რომელიც სამართლიანობისათვის იბრძვის!

სიტყვები წარმოთქვეს და ამერიკელ იმპერიალისტთა საშინელი ბოროტმოქმედების გამო თავიანთი გულისწყრომა გამოხატეს პროფესორმა ვ. კოკოჩაშვილმა, ასპირანტმა ტ. კვანჭილაშვილმა, დოცენტმა გ. ზარდალიშვილმა.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო განახორციელებს ღონისძიებებს ბაქტერიოლოგიური ომის აღსაკვეთად, ამერიკელ სამხედრო დამნაშავეთა ასაღაგმავად.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივის ხმა

ხალხმრავალ მიტინგზე თავისი გულისწყრომა გამოთქვა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივმა. ეს გულისწყრომა მიმართული იყო ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, რომელთაც კორეაში გამოიყენეს ადამიანთა მასობრივი მოსპობის ბარბაროსული საშუალება — ბაქტერიოლოგიური იარაღი. მიტინგის მონაწილენი — გამოჩენილი მეცნიერები მედიცინის დარგში, სტუდენტთა და ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლები მკაცრად გმობდნენ ამერიკელი აგრესორებისა და მათი უბადრუკი ლაქიების — ამერიკელ მედიცინის მუშაკთა ბოროტმოქმედებას.

სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მ. საკაკაშვილმა, რომელმაც მიტინგი გახსნა, შესავალ სიტყვაში განაცხადა:

— უოლსტრიტელი იმპერიალისტები ადამიანთა გამანადგურებელ საშუალებას — ბაქტერიოლოგიურ იარაღს იყენებენ მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ. მეცნიერებას, რაც ადამიანის მრავალსაუკუნოვან შრომას შეუქმნია, მეოცე საუკუნის ბარბაროსები ადამიანთა გასანადგურებლად იყენებენ. მაშინ, როდესაც საბჭოთა მეცნიერება, ჩვენი მედიცინა ხალხთა კეთილდღეობას ემსახურება, ამერიკელი მედიცინის მუშაკები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაჟლიტონ.

— ამერიკელ-ინგლისელი ბარბაროსები, — განაცხადა მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კომიტეტის წევრმა ნ. ჯავახიშვილმა-კომახიძემ, — არ თაკილობენ მიმართონ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, მასობრივად მოსპონ ადამიანები, რომ მეტი სიმდიდრე შეიძინონ. მაგრამ თუ ამერიკელმა გენერლებმა ვერ შეძლეს ცეცხლითა და მახვილით დაამორჩილებინათ მშვიდობისმოყვარე ხალხები, ვერც ბაქტერიებით დაიმორჩილებენ მას.

— ჩვენს რიგებში, — თქვა მიკრობიოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ანთაძემ, — აღშფოთებას იწვევს ის, რომ ბაქტერიოლოგიურ იარაღს სწედენ ეპიდემიოლოგები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ექიმები, რომლებიც მეცნიერთა სახელს ატარებენ. საბჭოთა მედიცინა ცდილობს აღკვეთოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ცუდი გავლენის პირობები, ამერიკელი „მეცნიერები“ კი ამრავლებენ სენის მთესველ მიკრობებს, ცდილობენ კაცობრიობას თავს დაატეხონ უმაგალითო უბედურება. ჩვენ, მედიცინის მუშაკები, დარწმუნებული ვართ, რომ სიცოცხლე გაიმარჯვებს სიკვდილზე, მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე. ამ მიზნისაკენ წარვმართავთ მთელ ჩვენს მუშაობას.

ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგემ დოცენტმა დ. სვანიძემ განაცხადა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ანგარიშში მოტყუვდნენ, როცა ბაქტერიოლოგიურ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა ბაქტერიებს მიანიჭეს, ხოლო არ გაითვალისწინეს მათი მიმღები და გადამცემი ფაქტორები. კორეელ ხალხს უნარი შესწევს ამ ორი ფაქტორის გამოყენებით ძალა დაუკარგოს ბაქტერიოლოგიურ იარაღს.

ომის გამჩაღებელთა ბარბაროსული მეთოდები დაგმეს მიტინგზე გამოსულმა პროფესორმა ი. მენთეშაშვილმა, ასისტენტმა ქ. უზნაძემ, სტალინურმა სტიპენდიატმა სტუდენტმა კ. მეშველიანმა და თ. თოთიბაძემ. მათ აღნიშნეს, რომ მშვიდობის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას მშრომელთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი, ნებას არ მისცემს ბარბაროსებს თავიანთ წადილს მიაღწიონ.

გორის მშრომელთა პროტესტი

გორი. (საკ. კორ.). გორის მშრომელები უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამენ ამერიკელი აგრესორების მიერ კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების გამო. ქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე აგიტატორები და პროპაგანდისტები აწყობენ საუბრებს, აცნობენ მშრომელებს ამერიკელ ინტერვენტთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებას.

საკონსერვო ქარხნის ხილბოსტნეულის სახმობი საამქროს უფროსმა დ. სურამელაშვილმა აგიტატორის საუბრის შემდეგ განაცხადა:

— ამერიკელი კაციჭამიები უდიდეს დანაშაულს სჩადიან კორეელი ხალხის მიმართ. მათ გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი. ჩვენ ვგმობთ ამერიკელი აგრესორების ასეთ თავხედობას და ერთსულოვნად ვაცხადებთ, რომ მშვიდობის ძალები ალ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 17 მარტის ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

დღეს ჩვენი ჯარების საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 3 ავიაფამანადგურებელი ნამფხოსა და ვონსანის რაიონებში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 17 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის 16 მარტის ცნობაში ნათქვამია:

დღეს დაიწყო შტაბის ოფიცრების სხდომები კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განსახილველად. კორეისა და ჩინეთის მხარის შტაბის ოფიცერმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მე-4 პუნქტის გამო უკვე დიდი ხანია უნდა მიღწეულიყო გონივრული მოწესრიგება ჩვენი მხარის 5 მარტის წინადადების საფუძველზე. ამ უკანასკნელ თვეებში, თქვა მან, ფაქტებმა მთელი მსოფლიოს ხალხებს დაუმტკიცა, რომ ამერიკელების მიერ წამოყენებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ ანუ „არაიძულებითი რეპატრიაციის“ პრინციპი დანაშაულებრივი პრინციპია. ჩვენი მხარის ბევრი ტყვედ წაყვანილი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა იმ წამების შედეგად, რასაც მიმართავდნენ, რათა მათთვის თავს მოეხვიათ ეს პრინციპი.

დღევანდელ სხდომაზე კორეისა და ჩინეთის მხარის ოფიცერმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ 13 მარტს ამერიკელებმა კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკში დახოცეს ტყვედ წაყვანილი ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის ცნობა კორეაში ამერიკელ ინფერვენტთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის დანაშაულებრივი გამოყენების შესახებ

ფხენიანი, 17 მარტი. (საკდესი). კორეაში მყოფმა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიამ პრესას გადასცა შემდეგი ცნობა:

„კომუნიკე პრეხისათვის“

კომისიამ, რომელიც დანიშნა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ იმ დანაშაულთა გამოსაძიებლად, რასაც კორეაში სჩადიან, დაამთავრა დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება და მალე შეუდგება თავისი მოხსენების შედგენას. მაგრამ აუცილებელი საჭიროების გამო დღეს დეპეშას უგზავნის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებსა და სამდივნოს და ნებართვას იძლევა აღნიშნული დეპეშის ტექსტი გამოქვეყნდეს პრესაში.

ბრანდვაინერი, კომისიის თავმჯდომარე. კორეა, 1952 წ. 16 მარტი“.

„კომისიამ, რომელიც დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ გაგზავნა დანაშაულთა შესახებ განცხადებების გამოსაძიებლად, დამამთავრა გამოძიება კორეაში და ამჟამად ამზადებს თავის მოხსენებას. მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაუყოვნებლივ გაცნობოთ, რომ ჩვენ განსაკუთრებით შევისწავლეთ განცხადებანი იმის შესახებ, რომ ამერიკის ჯარები იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. ჩვენ მივიღეთ დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ადასტურებენ, რომ ასეთი ხასიათის ბუზები და სხვა მწერები, როგორიც აქამდე კორეაში ცნობილი არ იყო, ამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში აღმოჩენილ იქნა ბევრ რაიონში ისეთ პირობებში (ტემპერატურა, დაგროვება, ნიადაგის ხასიათი და სხვა ფაქტორები, თვითმფრინავების წინა გაფრენები, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ ამ რაიონებს, ნაპოვნი პურვების ნაშთები), რომლებიც მოწმობენ, რომ ეს მწერები ჰაერიდან ჩამოყრილია ჯგუფებად ან მასებად, ბევრი ამ მწერთაგანი, როგორც ექსპერტებმა გამოარკვიეს, დასნებოვნებული იყო ხოლერით, ტიფით, შავი ჭირითა და სხვა გადამდები სენით. ხოლერითა და შავი ჭირით დაავადებამ იფეთქა რამდენიმე დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა ეს მწერები და მხოლოდ უშუალო სიახლოვეს მათი ჩამოყრის ადგილთან. ჩვენ ძალიან განვაცვიფრა იმ ფაქტებმა, რომლებიც ჩვენ გამოვარკვიეთ და რომლებიც, ჩვენი აზრით, უდავო. ჩვენს საბოლოო მოხსენებას დაწესებულ ვადაში წარმოვადგენთ. გაგრძელება იქნება, მაგრამ ამ საკითხის გადაუდებელი მნიშვნელობის გამო გაცნობებთ ამ ფაქტებს და უფლებას ვიტოვებთ გამოვაქვეყნოთ ეს დეპეშა პრესაში. დეპეშა ეგზავნება ასოციაციის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტსა და სამდივნოს.

ხელს აწერენ:

ბრანდვაინერი (ავსტრია)—თავმჯდომარე
კავალიერი (იტალია)—ვიცე-თავმჯდომარე
დე-ბრიტო (ბრაზილია)
გასტერი (ინგლისი)
ჟაკე (საფრანგეთი)
კე ბი-ნანნი (ჩინეთი)
მოერენსი (ბელგია)
ვასილკოვსკია (პოლონეთი)“.

გაზეთი „ლუმანიჯე“ კორეელი ხალხის წინააღმდეგ ომში იაპონიის ჯარების გამოყენების ამერიკული გეგმების შესახებ

პარიზი, 17 მარტი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ამერიკელები ამზადებენ იაპონიის ჯარების გადაყვანას კორეაში. უცხოეთის ერთი საგენტოს ტოკიოელმა კორესპონდენტმა შეიტყო, რომ 17 იაპონელი გენერალი და უმაღლესი წოდების ოფიცრები კორეას გაუმგზავრნენ გენერალ რიჯუეისა და იაპონიის მთავრობის მრძანებით. ამ ჯგუფს მეთაურობს ჩინეთში იაპონიის სამხედრო ატაშეს ყოფილი მოადგილე უცუნომია ნაოკატა.

ამერიკის მე-8 არმიის შტაბში გაგზავნილმა იაპონელმა ოფიცრებმა უნდა წარადგინონ წინადადებანი, რომლებიც შეეხება ეგრეთწოდებულ იაპონელ „მოხალისეთა“ შენაერთების კორეაში ჩასვლისათვის მომზადებას. ეს წინადადებანი და იაპონიის ჯარების გადაყვანის გეგმა უცუნომია ნაოკატამ უნდა გადასცეს გენერალ რიჯუეის“.

ამერიკის თვითმფრინავები ცეცხლს უშენენ სამხედრო ტყვეთა ბანაკს კორეაში

კუკინი, 17 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან იუწყება: 16 მარტს 1 საათსა და 35 წუთზე ამერიკელებმა ცეცხლი დაუშინეს ეგრეთწოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებიდან წაყვანილ სამხედრო ტყვეთა ბანაკს. წინასწარი ცნობებით, დაჭრილია ერთი ინგლისელი სამხედრო ტყვე. ბანაკს ჰქონდა სპეციალური ნიშნები პასმინჯოლში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად. ცეცხლის დაშენის გამოძიება გრძელდება.

ირანის მთავრობაზე ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედების გამო

სოფია, 18 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე იუწყებოდნენ, მოლაპარაკება ირანის ნავთის შესახებ, რაც თეირანში ამ ბოლო დროს წარმოებდა, ირანის მთავრობასა და ამერიკის ეგრეთწოდებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის“ წარმომადგენლებს შორის, უშედეგოდ დამთავრდა.

16 მარტს მოლაპარაკების შედეგების შესახებ თეირანის რადიოთი სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ირანელმა ადვოკატმა, მეჯლისის დეპუტატმა და ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის განმახორციელებელი შერეული კომისიის წევრმა დოქტორმა შაეგანმა,

როგორც შაეგანის გამოსვლიდან ჩანს, „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის“ წარმომადგენლებმა ირანის მთავრობას მოსთხოვეს დათანხმდეს ინგლისელი სპეციალისტების მოწვევაზე ირანის ნავთის მრეწველობის მართვისა და ხელმძღვანელობისათვის.

შემდეგ „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა“ მოითხოვა, რომ ირანის მთავრობამ ეს ბანკი არ მიიჩნიოს მხოლოდ თავის წარმომადგენლად, რომელიც ირანის ეროვნული ნავთის კომპანიის კონტროლით მოქმედებს. ბანკმა საკმაოდ აშკარად და გარკვევით აგრძნობინა მოლაპარაკებაში თავის პარტნიორებს, რომ მას სურს იმოქმედოს არა როგორც ირანის მთავრობის წარმომადგენელმა, არამედ როგორც ირანის ნავთის მფლობელმა და პატრონმა. როგორც შაეგანი აღიარებს, ამერიკელებს სურთ, რომ ირანის მთავრობამ „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს“ დაუთმოს ყოფილი ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის უფლებები და ამით გაუქმოს ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონი.

უთანხმოების მესამე პუნქტი შეეხება ირანის ნავთის ფასებს.

დაახასიათა რა მოლაპარაკების მიმდინარეობა, შაეგანმა განაცხადა, რომ ირანს მთავრობამ უარყო ზემოხსენებული მოთხოვნები.

მაგრამ თეირანის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ამერიკელი იმპერიალისტების ზემოქმედება არ შეწყვეტილა და ამერიკის „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის“ წარმომადგენლებს, როგორც მათი განცხადებებიდან ჩანს, იმედი აქვთ კიდევ დაბრუნდნენ თეირანში.

საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბერძნეთის აგრარული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი განცხადება

სოფია, 17 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა საგენტო იუწყება: რადიოსადგურმა „თავისუფლმა საბერძნეთმა“ გადასცა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბერძნეთის აგრარული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი განცხადება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ბერძენი ხალხი აღშფოთებით შეხვდა საბერძნეთში ამერიკის ბატონობის ახალ თავხედურ გამოვლინებას—ამერიკის ელჩ პერიფუას უხეშ ჩარევას საბერძნეთის საშინაო საქმეებში. პერიფუა იმუქრებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნებას არ დართავენ საბერძნეთში მოიწყოს ახალი არჩევნები, თუ ეს არჩევნები მაჟორიტარული სისტემით არ მოხდა.

აღნიშნავენ რა, რომ ასეთი მოთხოვნის მიზანია ხელისუფლების სათავეში ჩააყენოს ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე ერთგული ლაქია—პაპაგოსი, საბერძნეთის კომუნისტური პარტია და საბერძნეთის აგრარული პარტია თავიანთ განცხადებაში ამბობენ:

ათიწლეული მწყავე კრიზისი შეიქმნა. ამ კრიზისის მთავარი მიზეზები ის არის, რომ ამერიკელი ბატონების მთელი საქციელი, აგრეთვე ამერიკის ელჩ პერიფუას თავხედური მოთხოვნა აწყდება ბერძენი ხალხის დიდი უმრავლესობის მტკიცე წინააღმდეგობას.

განცხადებაში წამოყენებულია მოთხოვნა — დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნეს პარლამენტი და მოეწყოს არჩევნები პროპორციული სისტემით.

ბერძენმა დემოკრატებმა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, უნდა მოითხოვონ პერიფუას დაუყოვნებლივ გაწვევა და შეუდგნენ კრიზისის დემოკრატიულად გადაჭრას!..

საბერძნეთის კომუნისტური პარტია და საბერძნეთის აგრარული პარტია მოუწოდებენ ბერძენ ხალხსა და არმიას იყონ ფხიზლად და მუდამ მზად, რათა საყოველთაო-სახალხო კამპანიების მოწყობით ჩაშალონ პერიფუას ვერაგული ზრახვები. საჭიროა ყველგან შეიქმნას დემოკრატიული თავდაცვის კომიტეტები, რომლებიც დაიწყებენ ბრძოლას საბერძნეთში დღევანდელი კრიზისის სავსებით გადასაჭრელად, ბერძენი ხალხისა და საბერძნეთისათვის პურის, დემოკრატიის, მშვიდობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ

ბრიუსელი, 17 მარტი. (საკდესი). ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 15 და 16 მარტის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია გულისწყრომა იმ საშინელ დანაშაულობათა გამო, რაც ჩაიდინეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. რეზოლუცია მოუწოდებს ყველა პატიოსან ადამიანს სასტიკად დაგმონ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, რათა შეაჩერონ ისინი, ვინც უყოყმანოდ იყენებს ომის დანაშაულებრივ მეთოდებს.

ამავე სხდომაზე ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოუწოდებენ ბელგიელ ხალხს გააძლიროს აქტივობა საბერძნეთსა და ესპანეთში ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა დასაცავად, კერძოდ, მკაცრად მოითხოვოს საბერძნეთის სასამართლოს მიერ ბელოიანნისისა და მისი ამხანაგებისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის გაუქმება.

თურქეთის საომარი მზადება

სტამბული, 17 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ენი �ტამბული“ იუწყება, ანკარაში გაიმართა უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომები, რომლებზეც განხილულ იქნა საყოველთაო მობილიზაციის გეგმა, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალთა კადრების საკითხი, რომლებსაც მნიშვნელოვნად გაადიდებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში თურქეთის შესვლასთან დაკავშირებით. მიღებულ იქნა გადწყვეტილება იმის შესახებ, რომ სამხედრო-საჰაერო ძალთა რიგებში გაწვეულ იქნან მოსწავლენი და უნივერსიტეტდამთავრებული პირები.

მშვიდობის მომხრეთა ამერიკის კონგრესი კონგრესზე

მონტევიდეო, 16 მარტი. (საკდესი). 12-დან 15 მარტამდე მონტევიდეოში მუშაობდა მშვიდობის მომხრეთა ამერიკის კონტინენტური კონგრესი, რომელიც მოწვეულ იქნა ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გამოჩენილი საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეების ინიციატივით. როგორც ცნობილია, ურუგვაის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა თეატრ „დეფენსაში“ კონგრესის სხდომა მოწყობა. მიუხედავად ამისა, დელეგაციების მეთაურებმა და დელეგაციების წევრთა უმრავლესობამ სხდომები სხვადასხვა კერძო შენობებში მოაწყეს.

კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ ბრაზილიის 115 დელეგატი, არგენტინის 40, ჩილის 23, ამერიკის შეერთებული შტატების 5 და პარაგვაის 15 დელეგატი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ვენესუელის, კოლუმბიის, პუერტო-რიკოს, ბოლივიისა და გვატემალის დელეგაციებმა. ურუგვაის მშვიდობის მომხრენი კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ 100 დელეგატით.

ბევრ დელეგატს მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდა მონტევიდეოში ჩასასვლელად. გუბერნატორ კუბაზე, მექსიკასა და კანადაში ურუგვაის საკონსულოებმა დელეგატებს არ მისცეს ურუგვაიში შესასვლელი ვიზები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კონგრესზე დასწრების ნება არ მისცა ცნობილ ზანგ მოძღვარს პოლ რობსონს, პროფესორ დიუბუას და სხვ.

კონგრესის მოწვევი საინიციატივო კომისიის სამდივნოს ასობით მისასალმებელი დეპეშა მიუღია სხვადასხვა ქვეყნიდან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მიერ გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია: „მივესალმებით მშვიდობის მომხრეთა ამერიკის კონგრესს, რომელიც ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მოძრაობის განვითარებას. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი წარმატება და გადწყვეტილებანი ამერიკაში მშვიდობის ძალების მოძრაობის განვითარების ახალი ეტაპის მოამსწრაფებელი იქნება. ლონისძიებანი, რომლებსაც მთელ მსოფლიოში იღებენ მშვიდობისათვის, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის, კორეაში საშინელი ომისა და სხვა კონფლიქტების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, ყველა ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლაში, ყველა ხალხის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მთავარ პირობას წარმოადგენენ. მშვიდობის მსოფლიო საბჭო გისურვებთ სრულ წარმატებას თქვენს ქმედითს და გაბედულ ღონისძიებებში“.

კონგრესმა განიხილა ორი საკითხი: 1. ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ხალხები შესვამენ მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე. 2. ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ხალხები მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბრაზილიის დელეგაციის მეთაურმა ეოაო ფერეირა სამპაიომ — რიო-გრანდე-დო-სულის შტატის უმაღლესი ტრიბუნალის წევრმა.

„მშვიდობის მომხრეთა ამერიკის კონტინენტური კონგრესის მოწყობის იდეას, — განაცხადა მან, — ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ ნახევარსფეროს ყველა ქვეყანაში. ჩვენი ხალხები, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხები, უარყოფენ ომის პოლიტიკას, რადგან იგი მიაჩნიათ სიცოცხლის, საუკეთესოთა შექმნილი კულტურის, მატერიალური და სულიერი ფასეულობის ხელყოფად — ყოველივე იმის ხელყოფად, რაც ყველაზე ძვირფასია ცივილიზაციისა და ადამიანისათვის... მიუხედავად იმისა, რომ ჩილის, ბრაზილიისა და ურუგვაის მთავრობებმა თვითნებურად და უსამართლოდ აკრძალეს ჩვენი კონგრესი, კონგრესის დელეგატებმა და ამერიკის მშვიდობისმოყვარე ხალხებმა საინიციატივო კომისიის სამდივნოს მიერ წარმოდგენილი მოხსენების განხილვის შემდეგ უნდა მიიღონ ის რეზოლუციები, რომლებსაც ჩვენ სამართლიანად მივიჩნევთ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი ომის საფრთხეს მოწმობენ ისეთი ფაქტები, როგორიც არის იაპონიასთან ხელშეკრულების დადება, სამხედრო ჩარევა ჩინეთის ტერიტორიაზე—ფორმოზაზე, კორეაში ომის გაფართოების მუდმივი საფრთხე და ამერიკის კონტინენტზე ომის პროპაგანდის გაძლიერებული გავრცელება, რათა ამ ქვეყნის ხალხები ომში ჩათრიონ. ომისათვის გაფაფრთებული ზზადება მძიმე გაღლენას ახდენს მთელ ამერიკის კონტინენტზე, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ეს არღვევს ამ ქვეყნების ნორმალურ ცხოვრებას და იწვევს სამხედრო ბიუჯეტების გადიდებას ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხარჯების შემცირებით, იწვევს შეერთებული შტატების მიერ ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრისა და ნედლეულის ხელში ჩაგდებას, — ინფლაციის მუდმივ ზრდას და ხალხის მასების მდგომარეობის გაუარესებას.

ამერიკის მმართველი წრეები, განაგრძო მომხსენებელმა, ცდილობენ „მოვონ ჯარისკაცები და ლაბორატორიები ამერიკის ქვეყნების მთავრობებისაგან მოითხოვენ ჩვენი ახალგაზრდობის გაწვევას, რაც მათ ესაჭიროებათ აგრესიისა და დაპყრობის თავიანთი გეგმების განსახორციელებლად. მაგრამ ომისა და მილიტარიზაციის ეს პოლიტიკა, ისე როგორც მისი პირდაპირი შედეგები, ეწინააღმდეგება მშვიდობისმოყვარე ბზურავალ მისწრაფებას, მთელი ამერიკის კონტინენტის ხალხთა კეთილდღეობასა და დამოუკიდებლობას. ჩვენი ხალხები უსწრაფვიან ყველა ქვეყნის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას. ისინი დღითიდღე სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ომისათვის მზადებას და გამოთქვამენ უკმაყოფილებას ომისა და მილიტარიზაციის პოლიტიკის შედეგების გამო...

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყანაში გაჩაღდა მშვიდობისათვის ბრძოლის ფართო კამპანია. მშვიდობის მომხრენი, დამოუკიდებლად მათი შეხედულებისა და რელიგიური რწმენისა, მიუხედავად მათი ბრძოლის სხვადასხვა მეთოდისა, ემხრობიან ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მმართველობა ხელმოწერის შეგროვებაში დიდი როლი ეკუთვნით მშვიდობის დაცვის ეროვნულ კომიტეტებს.

ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში, თქვა ფერეირამ სამპაიომ, უკვე შეგროვებულია მშვიდობის პაქტზე 10 მილიონზე მეტი ხელმოწერა. ჩვენი მოქმედება და ჩვენი ერთიანობა ხელს შეგვიწყობს ომის თავიდან აცილებაში.. მშვიდობას როდი ელოდებიან, მშვიდობა ბრძოლით მოიპოვება. მშვიდობის მოპოვების შესაძლებლობა დღითიდღე ძლიერდება.

მოხსენება მშვიდობისათვის ამერიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლის შესახებ გააკეთა არგენტინელმა მწერალმა მარიამ როსა ოლივერამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ხალხები მხურვალედ ესწრაფვიან მშვიდობას და რომ მშვიდობის მომხრეთა ამოცანა ამჟამად ის არის, რომ ეს მისწრაფება მოქმედებად გადაიქცეს. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში ჩაებნენ სხვადასხვა რელიგიური რწმენის, პოლიტიკური შეხედულებისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანები. ამიტომ ორგანიზაციისა და ბრძოლის ფორმები და მეთოდები არ შეიძლება ერთგვარი იყოს. ომის გამჩაღებლები სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ ერთიანობას მშვიდობისათვის ბრძოლაში. ისინი მიმართავენ ცილისწამებას და ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ხალხი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ნამდვილი მიზნების შესახებ. მაგრამ მშვიდობისათვის საბრძოლველად აღდგა მილიონობით და მილიონობით უბრალო ადამიანი.

საჭიროა, განაცხადა მარიამ როსა ოლივერამ, პირველ რიგში ვაძლიერდეს კამპანია ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად, შემიმლას ადგილობრივი ჯგუფები და კომიტეტები იმ კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინაშე, გაფართოვდეს ლიტერატურა და სხვ.

დასასრულ მარიამ როსა ოლივერამ წინადადება შეიტანა, რომ ყველა მიღებული რეზოლუცია თვითეულმა დელეგაციამ გაუგზავნოს თავისი ქვეყნის ხელისუფალთ და რომ სპეციალურმა კომისიამ ეს რეზოლუციები გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

იაპონია-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქმიანობა

კუკინი, 18 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტო, იმოწმებს რა იაპონიიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება იაპონია-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის სხდომის შესახებ. სხდომაზე მიღებულ იქნა გადწყვეტილება — აპრილში ტოკიოში მოწვეულ იქნას იაპონია-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული კონფერენცია.

საზოგადოების გამგეობა მიესალმა მოსკოვის შომავალ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს და მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს იაპონიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვაჭრობის განვითარებისაკენ.

სხდომაზე მიღებულ იქნა განცხადება, რომელიც გმობს ოსაოდას წერილს დალესისადმი, ამ წერილში ოსაოდამ პირობა მისცა დალესს, რომ იაპონია სეპარატულ შეთანხმებას დადებს გომინდანელ ბანდიტებთან. ოსაოდას წერილი, განაცხადა საზოგადოების გამგეობამ, იწინააღმდეგება იაპონელი ხალხის მისწრაფებას. ოსაოდა იაპონიის ეკონომიკას აყენებს ჩვენი მეზობლის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაგან მოდმეჯი იზოლაციის მდგომარეობაში.

საერთაშორისო ტაბლიანი ჭადრაკი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 17 მარტი. (საკდესი). ბ. მაროცის ხსოვნის საერთაშორისო საკადრაკო ტურნირის გათამაშდა მე-7 და მე-8 ტურები. დაუმთავრებელი პარტიები.

ბრძოლის განუახლებლად ჰილნიკმა (არგენტინა) დაუთმო პარტია გელერს, პლატემა (ბულგარეთი) — ბოტვინიკს—სილს (უნგრეთი).

ყოფილი დამთავრდა გოლომბეკ (ინგლისი)—კერესისა და ჰილნიკ—გოლომბეკის პარტიები. სმისლოგმა მოუგო ო'კელის (ბელგია), ბარცაგერებენს (ორივე უნგრეთი), საბომ (უნგრეთი)—პეტროსიანს და ტროიანესკუმ (რუმინეთი) — ბეწკოკ (უნგრეთი).

მე-8 ტურის შემდეგ გელერს აქვს 6,5 ქულა, კერესსა და შტალბერგს (შვეიცარია)—ექვს-ექვსი ქულა.

ქალბ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალი პრემიერა

20 მარტს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენებს თავის ახალ დადგმას, ნ. ოსტროვსკის კომედიას „ლამაზი მამაკაცი“. სპექტაკლს დგამს ახალგაზრდა რეჟისორი მ. გიეიმყრელი, მხატვრულად აფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუმბათაშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. გოძიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. თაყაიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. დავითაშვილი და ა. გომელაური, მსახიობები: მ. თბილელი, დ. ჭიჭინაძე, ც. პეტრიაშვილი, შ. გოცირელი, ვ. ნინუა, ფ. სონლიღაშვილი, დ. ქუთათელაძე, გ. მგელაძე, ო. რაზმაძე და მ. ბახიაძე.

ლექცია

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტაბინეტში შედგება ამ. ზავრიევის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ქუთაისელის სახელობის საქალაქო პარტიაბინეტში

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ ა. კიკვიძის ლექცია თემაზე: „ი. ვ. სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი ბათუმის ხაწარმოთა მუშების გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაციის 50 წლისთავი“.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — გაზაფხული მინდვრებზე.

ი. ბ. სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

საბჭოთა მეცნიერული აზრის ახალი მონაპოვარი (საუბარი მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარესთან აკადემიკოს ა. ნესმეიანოვთან).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

საერთაშორისო საკადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში.

მეორე გვერდი—საერთო სათაურით „სტალინური პრემიის ლაურეატები“ წერილები: ინჟინერი-ნოვატორი მ. ბახტაძე — ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი. პ. ხუჭუა — მუსიკალური ნაწარმოებები თანამედროულობაზე.

პარტიული ცხოვრება — საწარმოებისა და ახალშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები (ფორის საქალაქო პარტიული კონფერენციაზე). საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

ლ. მუმლაძე — ნოვატორების თაოსნობა არ ფრცელდება.

მესამე გვერდი — პროკურატურის მუშაკების რესპუბლიკური თათბირი.

საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ აღიკვეთოს აურესორობა ბოროტმოქმედებანი.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. საქართველოს პირველობა ჭადრაკში.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატრიაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

20 მარტს

6.25 — სიმღერები კინოფილმებიდან. 7.30— პიონერთა დაფითონი. 11.10 — რუსული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრის კონცერტი. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — კონცერტი ბეთჰოვენის ნაწარმოებებიდან. 19.15 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.50 — პუჩინის ოპერა: „ბოჰემას“ ტრანსლაცია მოსკოვიდან.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — პიკის ქალი (მე-2 ან.); რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი; მარჯანიშვილის სახელობის — რომეო და ჯულიეტა; გრიბოედოვის სახელობის — ძია ვანო (34-35 ან); სოსხორი დრამის — სოსო და ვარდიტერი; მუსკომედიის — თბილისის ცის ქვეშ (3-ე ან.); მოზარდ მაყურებელთა ქართული — ლადო კეკელიელი (29-ე ან. 7 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — თეთრად მოჩანს აფრა ეული (10 და 3 ს.); ხანკულტურის — სვანეთის მთებში; ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა.

სსრკ კავშირგაბმულობის საბჭო



ДАЙНЕУ ЕДЕБАСЛЕ ХЕЛМОЧЕРЕЛ ЕДЕГЕНА 1952 ЕЛЕЛ ЕМЕРЕ КЕРЕГЕЛЕЛЕСЕЛ ДА АХЕЛ ХЕЛМОЧЕРЕЛ МЕДЕБА МЕЛЕ РЕЗ ЕЕНГЕРЕЛЕ, РЕСЕСЕЛЕЛЕЕЕ, СОЛЕЕ ДА СЕРЕЕЕЕЕ

**ЕЕЕЕЕЕ